8470
F76N370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა 9 ნოემბერი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 45 (204) ფასი 30 კაპ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოსა და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

ამხანაგებო!

24 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენში ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილება დამყარდა. ახლა ჩვენ საბჭოთა წყობილების არსებობის შემდგომი, 25-ე წლის მიჯნაზე ვდგევართ.

ჩვეულებრივ, ოქტომბრის რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომებზე ვაჯამებთ ხოლმე მშვიდობიანი მშენებლობის დარგში განვლილ წელს მიღწეული ჩვენი წარმატებების შედეგებს. ჩვენ, მართლაც, გვაქვს საშუალება შევაჯამოთ ასეთი შედეგები, რადგან მშვიდობიანი მშენებლობის დარგში ჩვენი წარმატებანი იზრდებიან არამც თუ ყოველწლიურად, არამედ ყოველთვიურადაც. თუ როგორია ეს წარმატებანი და რაოდენ დიდია ისინი, ეს ყველამ იცის, როგორც მეგობრებმა, ისე მტრებმა.

მაგრამ განვლილი წელი მარტო მშვიდობიანი მშენებლობის წელი როდია. იგი ამასთანავე არის წელი ომისა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც მუხანათურად დაესხნენ თავს ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას. ჩვენი მშვიდობიანი, აღმშენებლობითი მუშაობის განგრძობის საშუალება განვლილი წლის მხოლოდ პირველი ექვსი თვის განმავლობაში მოგვეცა. წლის მეორე ნახევარი, ოთხ თვეზე მეტი, მიმდინარეობს გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ გააფთრებული ომის ვითარებაში. ამრიგად, განვლილ წელს ომი შემობრუნების პუნქტი გახდა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ომმა მნიშვნელოვნად შეამცირა, ზოგიერთ დარგში კი სრულიად შესწყვიტა ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა. მან გვაიძულა სამხედრო ყაიდაზე გარდაგვექმნა მთელი ჩვენი მუშაობა. მან ჩვენი ქვეყანა გადააქცია ერთიან და ყოვლისმომცველ ზურგად, რომელიც ემსახურება ფრონტს, რომელიც ემსახურება ჩვენს წითელ არმიას, ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი დამთავრდა. დაიწყო პერიოდი განმათავისუფლებელი ომისა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ამიტომ სავსებით შესაფერისია დაისვას საკითხი განვლილი წლის მეორე ნახევარში, სახელდობრ, წლის მეორე ნახევრის ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოებული ომის შედეგებსა და იმ ამოცანებზე, რომლებსაც ამ განმათავისუფლებელ ომში ვისახავთ.

ომის მიმდინარეობა 4 თვის განმავლობაში

ომის დასაწყისში, ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში მე უკვე აღვნიშნე, რომ ომმა დიდი საფრთხე შეუქმნა ჩვენს ქვეყანას, რომ ჩვენი ქვეყანა სერიოზული საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, რომ უნდა გაგვეგო, შეგვეგნო ეს საშიშროება და მთელი ჩვენი მუშაობა გარდაგვექმნა სამხედრო ყაიდაზე. ახლა ოთხი თვის ომის შედეგის შეჯამებისას ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ეს საშიშროება არა თუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. მტერმა დაიპყრო უკრაინის მეტი ნაწილი, ბელორუსია, მოლდავეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მთელი რიგი სხვა ოლქები, შემოიჭრა დონბასში, შავ ღრუბლად ჩამოაწვა ლენინგრადს, ემუქრება ჩვენს სახელოვან დედაქალაქს—მოსკოვს. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი სძარცვავენ ჩვენს ქვეყანას, ანგრევენ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შრომით შექმნილ ქალაქებსა და სოფლებს. ჰიტლერელთა ურდოები ხოცავენ და აწიოკებენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მცხოვრებთ, არა ზოგავენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. ჩვენი ქვეყნის იმ ოლქებში, რომლებიც გერმანელებმა დაიპყრეს, გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ გმინავენ ჩვენი ძმები.

ღვარად დააყენეს მტრის სისხლი ჩვენი არმიისა და ფლოტის მებრძოლებმა, რომლებიც სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას იცავენ, რომლებიც მამაცურად იგერიებენ გამხეცებული მტრის იერიშებს და გულადობისა და გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ. მაგრამ მტერი არ ერიდება მსხვერპლს, იგი ოდნავაც არ უფრთხილდება თავისი ჯარისკაცების სისხლს, იგი სულ ახალ - ახალ რაზმებს აყრის ფრონტს მწყობრიდან გამოსულთა შესაცვლელად და მთელ ძალ-ღონეს სძაბავს, რათა ზამთრის დადგომამდე დაიპყროს ლენინგრადი და მოსკოვი, რადგან მან იცის, რომ ზამთარი მას კარგს არაფერს უქადის.

ოთხი თვის ომის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ მოკლულთა სახით 350 ათასი და უკვალოდ დაკარგულთა სახით 378 ათასი კაცი, ხოლო დაჭრილი გვყავს 1.020 ათასი კაცი. ამავე პერიოდში მტერმა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით დაჰკარგა 4,5 მილიონზე მეტი კაცი.

უეჭველია, რომ ოთხი თვის ომის შედეგად გერმანია, რომლის ადამიანთა რეზერვები უკვე ილევა, ამჟამად გაცილებით უფრო დასუსტებული აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი, რომლის რეზერვების სრული მოცულობით გაშლა მხოლოდ ახლა სწარმოებს.

„ელვისებური ომის" ჩაფუშვა

როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას იწყებდნენ, ისინი ფიქრობდნენ, რომ უეჭველად შესძლებდნენ 1½-2 თვის განმავლობაში „მოეღოთ ბოლო" საბჭოთა კავშირისათვის და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ურალს მიაღწევდნენ. უნდა ითქვას, რომ გერმანელები ამ „ელვისებური" გამარჯვების გეგმას არა მალავდნენ. პირიქით, ისინი მას ყოველნაირად უკეთებდნენ რეკლამას. მაგრამ ფაქტებმა დაგვანახვა, რომ „ელვისებური" გეგმა სავსებით ქარაფშუტული და უნიადაგო იყო. ახლა ეს გიჟური გეგმა საბოლოოდ ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს. (ტაში).

რით უნდა აიხსნას, რომ „ელვისებური ომი", რომელმაც დასავლეთ ევროპაში გაიმარჯვა, აღმოსავლეთში დამარცხდა და ჩაიფუშა?

რის იმედი ჰქონდათ გერმანელ ფაშისტ სტრატეგებს, როცა ამტკიცებდნენ, ორ თვეში მოვუღებთ ბოლოს საბჭოთა კავშირს და ამ მოკლე ხანში ურალს მივაღწევთო?

უწინარეს ყოვლისა, მათი ვარაუდი ემყარებოდა სერიოზულ იმედს, რომ შეჰქმნიდნენ საყოველთაო კოალიციას სსრ კავშირის წინააღმდეგ, ჩააბამდნენ ამ კოალიციაში დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რისთვისაც წინდაწინ დააშინებდნენ ამ ქვეყნების მმართველ წრეებს რევოლუციის აჩრდილით, და, ამრიგად, სავსებით ჩამოაცილებდნენ, ჩვენს ქვეყანას სხვა სახელმწიფოებს. გერმანელებმა იცოდნენ, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა კლასებს შორისა და ამ სახელმწიფოებსა და საბჭოთა ქვეყანას შორის წინააღმდეგობანას თამაშის მათმა პოლიტიკამ უკვე მოიტანა თავისი შედეგი საფრანგეთში, რომლის მესვეურებმაც თავი დააშინებინეს მათ რევოლუციის აჩრდილით, შეშინებულებმა ხელი აიღეს წინააღმდეგობის გაწევაზე და ჰიტლერის ფეხთა წინაშე დაამხეს თავიანთი სამშობლო. გერმანელი ფაშისტი სტრატეგები ფიქრობდნენ, რომ იგივე დაემართებოდა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. საკმაოდ ცნობილი ჰესი გერმანელმა ფაშისტებმა სწორედ იმისთვის გაგზავნეს ინგლისში, რომ ინგლისელი პოლიტიკოსები დაეჯერებინათ მიმხრობოდნენ საყოველთაო ლაშქრობას სსრ კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ გერმანელები სასტიკად მოტყუვდნენ (ტაში). ჰესის ცდების მიუხედავად, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები არა თუ არ შეუერთდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ლაშქრობას სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, სსრ კავშირთან ერთად აღმოჩნდნენ ერთ ბანაკში ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ. სსრ კავშირი არა თუ იზოლირებული არ აღმოჩნდა, არამედ, პირიქით, მან ახალი მოკავშირენი შეიძინა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანელთა მიერ ოკუპირებული სხვა ქვეყნების სახით. აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობანათი და რევოლუციის აჩრდილით დაშინების თამაშის გერმანული პოლიტიკა ამოიწურა და უკვე აღარ ვარგა ახალი ვითარებისათვის. და არა



თუ არ ვარგა, არამედ მას მოსდევს კიდევ დიდი საშიშროებანი გერმანელ დამპყრობთათვის, რადგან ომის ახალ პირობებში მას პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგები მოაქვს.

მეორე მხრივ, გერმანელები იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა, საბჭოთა ზურგი მტკიცე არ იქნებოდა, ფიქრობდნენ, რომ პირველივე სერიოზული დარტყმისა და წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ თავს იჩენდა კონფლიქტები მუშებსა და გლეხებს შორის, ატყდებოდა ჩხუბი სსრ კავშირის ხალხთა შორის, დაიწყებოდა აჯანყებანი და ჩვენი ქვეყანა შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რაც გერმანელ დამპყრობთ გაუადვილებდა წინსვლას თვით ურალამდე. მაგრამ გერმანელები აქაც სასტიკად მოსტყუვდნენ. წითელი არმიის წარუმატებლობამ არა თუ ვერ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა როგორც მუშათა და გლეხთა კავშირი, ისე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა (ტაში). უფრო მეტიც,—ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. საბჭოთა ზურგი არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლაა (მქუხარე ტაში). სავსებით დასაჯერებელია, რომ ყოველი სხვა სახელმწიფო, იმდენი ტერიტორია რომ დაეკარგა, რამდენიც ჩვენ ახლა დავკარგეთ, განსაცდელს ვერ გაუძლებდა და დაეცემოდა. თუ საბჭოთა წყობილებამ განსაცდელს ესოდენ იოლად გაუძლო და კიდევ უფრო მეტად განამტკიცა თავისი ზურგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილება ახლა ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა (მქუხარე ტაში).

დასასრულ, გერმანელი დამპყრობნი იმედს ამყარებდნენ წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სისუსტეზე, ფიქრობდნენ, რომ გერმანიის არმია და გერმანიის ფლოტი პირველივე დარტყმით შესძლებდნენ უკუექციათ და გაეფანტათ ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი, გზას გაიხსნიდნენ დაუბრკოლებლივი წინსვლისათვის ჩვენი ქვეყნის შუაგულისაკენ. მაგრამ გერმანელები აქაც სასტიკად მოტყუვდნენ; მათ გაზვიადებულად შეაფასეს თავიანთი ძალები და ჯეროვნად ვერ შეაფასეს ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი. ცხადია, ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი ჯერ კიდევ ახალგაზრდანი არიან, ისინი სულ 4 თვეა ომობენ, მათ ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს სავსებით საკადრო გამხდარიყვნენ, მაშინ როდესაც მათ წინააღმდეგ დგანან გერმანელთა კადრის ფლოტი და კადრის არმია, რომლებიც უკვე 2 წელია ომობენ. მაგრამ, ჯერ-ერთი, ჩვენი არმიის მორალური მდგომარეობა გერმანიის არმიისაზე უფრო მაღლა დგას, რადგან იგი თავის სამშობლოს იცავს უცხოელ დამპყრობთაგან და სწამს თავისი საქმის სიმართლე, მაშინ როდესაც გერმანიის არმია დაპყრობითს ომს ეწევა და სხვის ქვეყანას სძარცვავს და საშუალება არა აქვს თუნდაც ერთი წუთით იწამოს თავისი საზიზღარი საქმის სიმართლე. უეჭველია, რომ თავისი სამშობლოს დაცვის იდეამ, რისთვისაც ჩვენი ადამიანები ომობენ, უნდა წარმოშვას და ნამდვილად წარმოშობს კიდევაც ჩვენს არმიაში გმირებს, რომლებიც წითელ არმიას ადუღაბებენ, მაშინ როდესაც სხვისი ქვეყნის დაპყრობისა და გაძარცვის იდეამ, რისთვისაც აწარმოებენ კიდეც ომს გერმანელები, უნდა წარმოშვას და ნამდვილად წარმოშობს გერმანიის არმიაში პროფესიონალ მძარცველებს, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარ მორალურ საფუძვლებს და რომლებიც ხრწნიან გერმანიის არმიას. მეორეც, — გერმანიის არმია, რაც უფრო შორს მოიწევს ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო შორდება თავის გერმანულ ზურგს, იძულებული ხდება იმოქმედოს მტრულ გარემოში, იძულებული ხდება სხვის ქვეყანაში შეჰქმნას ახალი ზურგი, რომელსაც ამასთანავე ჩვენი პარტიზანები ანგრევენ; ეს ძირფესვიანად შლის გერმანიის არმიის მომარაგებას, იძულებულს ხდის მას ეშინოდეს თავის ზურგისა და უკარგავს მას თავისი მდგომარეობის სიმტკიცის რწმენას, მაშინ როდესაც ჩვენი არმია თავის მშობლიურ გარემოში მოქმედებს, თავისი ზურგის განუწყვეტელი დახმარებით სარგებლობს, უზრუნველყოფილია ადამიანების, საომარი მასალებისა და სურსათის მიწოდების მხრივ და მტკიცე რწმენა აქვს თავისი ზურგისადმი. აი რატომ აღმოჩნდა ჩვენი არმია უფრო ძლიერი, ვიდრე გერმანელები ფიქრობდნენ, ხოლო გერმანიის არმია—უფრო სუსტი, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრნა გერმანელ დამპყრობთა მკვეხარა რეკლამების მიხედვით. ლენინგრადისა და მოსკოვის დაცვა, სადაც ჩვენმა დივიზიებმა ამასწინათ გერმანელთა 3 ათეული კადრის დივიზია გაჟლიტეს, გვიჩვენებს, რომ სამამულო ომის ცეცხლში იჭედებიან და უკვე გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები—მეთაურები, მფრინავები, არტილერისტები, ნაღმმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითნი, მეზღვაურები, რომლებიც ხვალ გერმანიის არმიის რისხვად გადაიქცევიან (მქუხარე ტაში).

უეჭველია, რომ ყველა ამ გარემოებამ, ერთად აღებულმა, წინასწარ განსაზღვრა აღმოსავლეთში „ელვისებური ომის" ჩაფუშვის გარდუვალობა.

ჩვენი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზები

ყოველივე ეს, რასაკვირველია, სწორია. მაგრამ სწორია ისიც, რომ ამ ხელსაყრელ პირობებთან ერთად მოგვეპოვება კიდევ წითელი არმიისათვის მთელი რიგი არახელსაყრელი პირობები, რომელთა გამო ჩვენი არმია დროებითს წარუმატებლობას განიცდის, იძულებულია უკან იხევდეს, იძულებულია დაანებოს მტერს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ოლქები.

როგორია ეს არახელსაყრელი პირობები? სად უნდა ვეძებოთ წითელი არმიის დროებითი სამხედრო წარუმატებლობის მიზეზები?

წითელი არმიის წარუმატებლობის ერთ - ერთი მიზეზი ის არის, რომ ევროპაში არ არსებობს მეორე ფრონტი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ ამჟამად ევროპის კონტინენტზე არ არსებობს დიდი ბრიტანეთის ან ამერიკის შეერთებული შტატების რაიმე არმიები, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ომობდნენ, რის გამო გერმანელებს არ უხდებათ თავიანთი ძალების დაქსაქსვა და ომის წარმოება ორ ფრონტზე, დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ეს გარემოება კი იმას იწვევს, რომ გერმანელებს, რაკი დასავლეთში თავიანთი ზურგი უზრუნველყოფილად მიაჩნიათ, საშუალება აქვთ მთელი თავიანთი ჯარები და თავიანთი ევროპელი მოკავშირეების ჯარები დასძრან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ახლა ვითარება ისეთია, რომ ჩვენი ქვეყანა მარტოდმარტო, ვისიმე სამხედრო დახმარების უქონლად ეწევა განმათავისუფლებელ ომს გერმანელთა, ფინელთა, რუმინელთა, იტალიელთა და უნგრელთა შეერთებული ძალების წინააღმდეგ. გერმანელებს თავი მოაქვთ თავიანთი დროებითი წარმატებებით, უზომოდ აქებენ თავიანთ არმიას, ირწმუნებიან, რომ იგი ყოველთვის სძლევს წითელ არმიას პირისპირ ბრძოლებში. მაგრამ გერმანელთა მტკიცებანი ფუჭი ტრაბახია, რადგან გაუგებარია, მაშ რატომღა მიმართეს მათ ფინელების, რუმინელების, იტალიელებისა და უნგრელების დახმარებას წითელი არმიის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდამხოლოდ თავისი ძალებით და სხვისი სამხედრო დახმარების უქონლად იბრძვის. უეჭველია, რომ გერმანელთა წინააღმდეგ ევროპაში მეორე ფრონტის უქონლობა მნიშვნელოვნად ამსუბუქებს გერმანიის არმიის მდგომარეობას, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის გაჩენა,—იგი კი უეჭველად უნდა გაჩნდეს უახლოეს ხანში (მქუხარე ტაში),—არსებითად შეამსუბუქებს ჩვენი არმიის მდგომარეობას გერმანიის არმიის საზარალოდ.

ჩვენი არმიის დროებითი წარუმატებლობის მეორე მიზეზი ის არის, რომ გვაკლია ტანკები და ნაწილობრივ ავიაცია. თანამედროვე ომში ქვეითი ჯარისათვის მეტად ძნელია იბრძოლოს ისე, თუ მას არა აქვს ტანკები და საკმაო საავიაციო საფარი ჰაერიდან. ჩვენი ავიაცია ხარისხით გერმანიის ავიაციას სჯობს, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა მფრინავებმა უშიშარ მებრძოლთა სახელი მოიხვეჭეს. (ტაში). მაგრამ თვითმფრინავები ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლები გვაქვს, ვიდრე გერმანელებს.

ჩვენი ტანკები ხარისხით გერმანელების ტანკებს სჯობს, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა ტანკისტებმა და არტილერისტებმა არაერთხელ უკუაქციეს გერმანელების „ნაქებ" ჯარები მათი მრავალრიცხოვანი ტანკებიანად (ტაში). მაგრამ ტანკები ჩვენ მაინც რამდენჯერმე ნაკლები გვაქვს, ვიდრე გერმანელებს. ამაში მდგომარეობს გერმანიის არმიის დროებითი წარმატებების საიდუმლოება. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი სატანკო მრეწველობა ცუდად მუშაობდეს და ჩვენს ფრონტს ცოტა ტანკებს აწვდიდეს. არა, იგი ძალიან კარგად მუშაობს და მცირე რაოდენობით როდი ამზადებს საუცხოო ტანკებს. მაგრამ გერმანელები გაცილებით მეტ ტანკებს ამზადებენ, რადგან ამჟამად მათს განკარგულებაშია არა მარტო მათი სატანკო მრეწველობა, არამედ ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის მრეწველობაც. ეს გარემოება რომ არა ყოფილიყო, წითელი არმია კარგა ხნის წინათ დაამსხვრევდა გერმანიის არმიას, რომელიც უტანკებოდ ბრძოლაში ვერ გამოდის და ჩვენი ჯარის ნაწილების დარტყმას ვერ უძლებს, თუ მას უპირატესობა არა აქვს ტანკების მხრივ. (ტაში).

არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გავაქარწყლოთ გერმანელთა უპირატესობა ტანკების მხრივ და ამით ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ ჩვენი არმიის მდგომარეობა. იგი, ეს საშუალება, არის არა მარტო ის, რომ რამდენჯერმე გავადიდოთ ტანკების წარმოება ჩვენს ქვეყანაში, არამედ ისიც, რომ მკვეთრად გავადიდოთ ტანკსაწინააღმდეგო თვითმფრინავების, ტანკსაწინააღმდეგო თოფებისა და ქვემეხების, ტანკსაწინააღმდეგო გრანატებისა და ნაღმსატყორცნების წარმოება, ვაშენოთ რაც შეიძლება მეტი ტანკსაწინააღმდეგო ორმოები და ყოველგვარი სხვა ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებანი.

ეს არის ახლა ამოცანა.

ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ეს ამოცანა და ჩვენ უნდა შევასრულოთ იგი რადაც უნდა დაგვიჯდეს!

ვინ არიან „ნაციონალ-სოციალისტები"?

ჩვენში გერმანელ დამპყრობთ, ესე-იგი ჰიტლერელებს, ჩვეულებრივად ფაშისტებს უწოდებენ. ჰიტლერელებს ეს თურმე უმართებულოდ მიაჩნიათ და დაჟინებით კვლავ და კვლავ უწოდებენ თავს „ნაციონალ-სოციალისტებს". მაშასადამე, გერმანელებს სწადიათ დაგვარწმუნონ, რომ ჰიტლერელების პარტია, გერმანელ დამპყრობთა პარტია, რომელიც ევროპას სძარცვავს და რომელმაც ავაზაკური თავდასხმა მოაწყო ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოზე, სოციალისტურ პარტიას წარმოადგენს. განა ეს შესაძლებელია? რა საერთო შეიძლება იყოს სოციალიზმსა და ჰიტლერელ გამხეცებულ დამპყრობთა შორის, რომლებიც ევროპის ხალხებს სძარცვავენ და სჩაგრავენ?

შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ჰიტლერელები **ნაციონალისტებად?** არა, არ შეიძლება. ნამდვილად ჰიტლერელები ახლა ნაციონალისტები კი არა, არამედ **იმპერიალისტები** არიან. ვიდრე ჰიტლერელები გერმანული ქვეყნების შემომტკიცებას და რეინის ოლქის, ავსტრიისა და ა. შ. გაერთიანებას ეწეოდნენ, შეიძლებოდა ერთგვარი საფუძვლით ისინი ნაციონალისტებად ჩაგვეთვალა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ დაიპყრეს სხვისი ტერიტორიები და დაიმონეს ევროპის ერები—ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები, ნორვეგიელები, დანიელები, ჰოლანდიელები, ბელგიელები, ფრანგები, სერბიელები, ბერძნები, უკრაინელები, ბელორუსები, ბალტიისპირელნი და ა. შ. და მსოფლიო ბატონობის მიღწევას ცდილობენ, ჰიტლერელთა პარტია უკვე აღარ არის ნაციონალისტური, რადგან ამ მომენტიდან იგი იმპერიალისტური, დამპყრობელური და მჩაგვრელი პარტია გახდა.

ჰიტლერელთა პარტია არის იმპერიალისტთა პარტია, თანაც პარტია ყველაზე უფრო ყაჩაღი და ავაზაკი იმპერიალისტებისა მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის.

შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ჰიტლერელები **სოციალისტებად?** არა, არ შეიძლება. ნამდვილად ჰიტლერელები არიან სოციალიზმის დაუძინებელი მტრები, უბოროტესი რეაქციონერები და შავრაზმელები, რომლებმაც მუშათა კლასს და ევროპის ხალხებს წა-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოსა და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

(დასასრული)

ართვეს ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი. თავიანთი რეაქციულ-შავრაზმული ბუნების დასამალავად ჰიტლერელები ინგლისისა და ამერიკის შინაურ რეჟიმს ლანძღავენ და მას პლუტოკრატიულ რეჟიმს უწოდებენ. მაგრამ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი, არსებობენ მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირები, არსებობენ მუშათა პარტიები, არსებობს პარლამენტი. გერმანიაში კი ჰიტლერული რეჟიმის დროს ყველა ეს ინსტიტუტი მოსპეს.

საკმარისია მხოლოდ ერთმანეთს დავუპირისპიროთ ეს ორი წყება ფაქტები, რომ გავიგოთ ჰიტლერული რეჟიმის რეაქციული ბუნება და ინგლისისა და ამერიკის პლუტოკრატიული რეჟიმის შესახებ გერმანელ ფაშისტთა ლაყბობის მთელი სიყალბე. არსებითად ჰიტლერული რეჟიმი პირწავარდნილი ის რეაქციული რეჟიმია, რომელიც ცარიზმის დროს არსებობდა რუსეთში. ცნობილია, რომ ჰიტლერელები ისეთივე ხალისით სთელავენ მუშების უფლებებს, ინტელიგენციის უფლებებს, და ხალხთა უფლებებს, როგორც ამ უფლებებს მეფის რეჟიმი სთელავდა, რომ ისინი ისეთივე ხალისით აწყობენ ებრაელთა შუასაუკუნეობრივ რბევა-აწიოკებას, როგორც ამას მეფის რეჟიმი აწყობდა.

ჰიტლერელთა პარტია არის პარტია დემოკრატიულ თავისუფლებათა მტრებისა, პარტია შუასაუკუნეობრივი რეაქციისა და შავრაზმული რბევა-აწიოკებისა.

და თუ ეს თავგასული იმპერიალისტები და უბოროტესი რეაქციონერები ჯერ კიდევ ეხვევიან „ნაციონალისტებისა“ და „სოციალისტების“ სამოსელში, ამას ისინი იმისათვის სჩადიან, რომ მოატყუონ ხალხი, გააბრიყვონ გულუბრყვილონი და „ნაციონალიზმისა“ და „სოციალიზმის“ დროშით დაფარონ თავიანთი ავაზაკური იმპერიალისტური ბუნება.

ყვავები ფარშავანგის ფრთებით ირთვებიან, მაგრამ ყვავი, რაც უნდა მოირთოს ფარშავანგის ფრთებით, მაინც ყვავად დარჩება.

„ყოველი საშუალებით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, — ამბობს ჰიტლერი, — რომ გერმანელებმა მსოფლიო დაიპყრონ. თუ გვსურს შევქმნათ ჩვენი დიდი გერმანიის იმპერია, უწინარეს ყოვლისა უნდა განვდევნოთ და გავჟლიტოთ სლავი ხალხები—რუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, უკრაინელები, ბელორუსები. არავითარი მიზეზი არა გვაქვს რომ ასე არ მოვიქცეთ“.

„ადამიანი, — ამბობს ჰიტლერი, — ცოდვილია დაბადებითვე, მისი მართვა შესაძლებელია მხოლოდ ძალის შემწეობით. მასთან მოპყრობის დროს ნებადართულია ყოველგვარი მეთოდი. როცა პოლიტიკა მოითხოვს, უნდა ვიცრუოთ, გავცეთ და ვხოცოთ კიდევაც“.

„მოჰკალით,—ამბობს გერინგი, ყველა, ვინც ჩვენი წინააღმდეგია, მოჰკალით, მოჰკალით, ამისათვის თქვენ კი არ გეკისრებათ პასუხისმგებლობა, არამედ მე, ამიტომ მოჰკალით!“.

„მე ადამიანს ვათავისუფლებ,— ამბობს ჰიტლერი,—დამამცირებელი ქიმერისაგან, რომელსაც სინიდისი ეწოდება. სინიდისი, ისევე როგორც განათლება, ამახინჯებს ადამიანს. მე ის უპირატესობა მაქვს, რომ მე ვერ მაკავებს თეორიული თუ მორალური ხასიათის ვერავითარი მოსაზრება“.

გერმანიის სარდლობის 25 სექტემბრის ერთ-ერთ ბრძანებაში 489-ე ქვეითი პოლკისადმი, რომელიც მოკლულ გერმანელ უნტერ-ოფიცერს უპოვნეს, ნათქვამია:

„გიბრძანებთ ტყვია დაუშინოთ ყოველ რუსს, გამოჩნდება თუ არა იგი 600 მეტრ მანძილზე. რუსმა უნდა იცოდეს, რომ მის წინააღმდეგ იბრძვის მტკიცე მტერი, რომლისგანაც მას არ შეუძლია მოელოდეს რაიმე ლმობიერებას“.

გერმანიის სარდლობის ერთ-ერთ მიმართვაში ჯარისკაცებისადმი, რომელიც მოკლულ ლეიტენანტ გუსტავ ციგელს, მაინის ფრანკფურტის მცხოვრებს, უპოვნეს, ნათქვამია:

„შენ გული და ნერვები არა გაქვს, ომში ისინი არ გესაჭიროება. ჩაიკალ ლმობიერებაა და სიბრალულის გრძნობა—მოჰკალ ყოველი რუსი, საბჭოელი, ნუ მოერიდები, თუ შენ წინ იქნება მოხუცი ან ქალი, გოგო ან ბიჭი — დახოცე და ამით თავს გადაირჩენ დაღუპვისაგან, უზრუნველჰყოფ შენი ოჯახის მომავალს და საუკუნოდ მოიხვეჭ სახელს“.

აი პროგრამა და მითითებანი ჰიტლერელთა პარტიის ლიდერებისა და ჰიტლერელთა სარდლობისა, პროგრამა და მითითებანი ადამიანთა, რომლებმაც ადამიანის სახე დაჰკარგეს და გარეულ მხეცთა დონემდე დაეცნენ.

და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინიდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!..

გერმანელ დამპყრობთ სწადიათ გამანადგურებელი ომი ჰქონდეთ სსრ კავშირის ხალხებთან. რას იზამ, თუ გერმანელებს სწადიათ ჰქონდეთ გამანადგურებელი ომი, ისინი ამ ომს მიიღებენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამიერიდან ჩვენი ამოცანა, სსრ კავშირის ხალხთა ამოცანა, ჩვენი არმიისა და ჩვენი ფლოტის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ამოცანა ის იქნება, რომ გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ როგორც მისი ოკუპანტები **(მქუხარე ტაში, შეძახილები: „სწორია!“, ძახილი: „ურა“).**

არავითარი დანდობა გერმანელ ოკუპანტებს!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! **(მქუხარე ტაში).**

გერმანელი იმპერიალისტებისა და მათი არმიების განადგურება გარდუვალია

მარტო ისიც კი, რომ გერმანელმა დამპყრობლებმა, მორალური დეგრადაციის შედეგად, ადამიანის სახე დაჰკარგეს და უკვე დიდი ხანია გარეული მხეცის დონემდე დაეცნენ,—მარტო ეს გარემოებაც კი იმას მოწმობს, რომ ისინი განწირული არიან გარდუვალი დაღუპვისათვის. მაგრამ ჰიტლერელ დამპყრობთა და მათი არმიების გარდუვალი დაღუპვა მარტო მორალური ფაქტორებით როდი განისაზღვრება.

არსებობს კიდევ სამი ძირითადი ფაქტორი, რომელთა ძალა დღითი-დღე იზრდება და რომლებმაც ახლო მომავალში უნდა გამოიწვიონ ჰიტლერელთა ყაჩაღური იმპერიალიზმის გარდუვალი განადგურება (ტაში).

ეს არის, ჯერ-ერთი, ის, რომ იმპერიალისტური გერმანიის ზურგი ევროპაში მტკიცე არ არის, ევროპის „ახალი წესრიგი“ მტკიცე არ არის. გერმანელმა დამპყრობლებმა ევროპის კონტინენტის ხალხები დაიმონეს საფრანგეთიდან საბჭოთა ბალტიისპირეთამდე, ნორვეგიიდან, დანიიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და საბჭოთა ბელორუსიიდან ბალკანეთამდე და საბჭოთა უკრაინამდე, წაართვეს მათ ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი, წაართვეს უფლება განაგონ თავისი ბედი, წაართვეს პური, ხორცი, ნედლეული, თავის მონებად აქციეს ისინი, ჯვარს აცვეს პოლონელები, ჩეხები, სერბიელები და გადასწყვიტეს, რომ, მოიპოვეს რა ბატონობა ევროპაში, ახლა შეუძლიათ ამის საფუძველზე აშენონ გერმანიის მსოფლიო ბატონობა.

ამას ისინი უწოდებენ „ევროპის ახალ წესრიგს“. მაგრამ რას წარმოადგენს ეს „საფუძველი“, რას წარმოადგენს ეს „ახალი წესრიგი“? მარტო თავშეყვარებული ჰიტლერელი ბრიყვები ვერა ხედავენ, რომ ევროპის „ახალი წესრიგი“ და ამ წესრიგის ყბად-აღებული „საფუძველი“ წარმოადგენს ვულკანს, რომელიც ყოველ წუთს მზად არის ამოხეთქოს და წალეკოს გერმანელთა იმპერიალისტური ხუხულა. ნაპოლეონს იმოწმებენ და გვარწმუნებენ, ჰიტლერი ნაპოლეონივით იქცევა და ყველაფერში ნაპოლეონს ჰგავსო. მაგრამ, ჯერ-ერთი, არ უნდა დაგვავიწყდეს ამასთან ნაპოლეონის ბედი. მეორე კი,—ჰიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი ლომს **(სიცილი, მქუხარე ტაში)**, რადგან ნაპოლეონი რეაქციის ძალების წინააღმდეგ იბრძოდა და პროგრესიულ ძალებს ეყრდნობოდა, ჰიტლერი კი, პირიქით, რეაქციულ ძალებს ეყრდნობა და პროგრესიული ძალების წინააღმდეგ იბრძვის. მხოლოდ ჰიტლერელი ბერლინელი ბრიყვები ვერ მიმხვდარან, რომ ევროპის დამონებული ხალხები იბრძოლებენ და აჯანყებებს მოახდენენ ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ. ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები სრულ დახმარებას გაუწევენ ევროპის ხალხებს მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ? **(ტაში).**

მეორე ფაქტორია ის, რომ ჰიტლერელ დამპყრობთა ზურგი გერმანიაში მტკიცე არ არის. სანამ ჰიტლერელები მუშაობდნენ, რათა შემოეკრიბათ გერმანია, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების ძალით ნაკუწ-ნაკუწად იყო ქცეული, მათ შეეძლოთ ჰქონოდათ მხარდაჭერა გერმანელი ხალხისა, რომელიც აღფრთოვანებული იყო გერმანიის აღდგენის იდეალით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ამოცანა გადაწყდა, ხოლო ჰიტლერელები იმპერიალიზმის გზას, სხვისი მიწების დაპყრობისა და სხვა ხალხების დამონების გზას დაადგნენ და ევროპისა და სსრ კავშირის ხალხები ახლანდელი გერმანიის დაუძინებელ მტრებად აქციეს,—გერმანელ ხალხში ღრმა გარდატეხა მოხდა ომის განგრძობის წინააღმდეგ, ომის ლიკვიდაციის სასარგებლოდ. ორ წელიწადზე მეტია, რაც მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ომი, რომელსაც ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო. მრავალმილიონ ადამიანთა მსხვერპლი, შიმშილი, გაღატაკება, ეპიდემიები, ირგვლივ მტრული ატმოსფერო გერმანელთა წინააღმდეგ, ჰიტლერის ბრიყვული პოლიტიკა, რომელმაც სსრ კავშირის ხალხები ახლანდელი გერმანიის დაუძინებელ მტრებად აქცია,—ყოველივე ამის შედეგად არ შეიძლებოდა გერმანელ ხალხს პირი არ ებრუნებინა უაზრო და გამანადგურებელი ომის წინააღმდეგ. მხოლოდ ჰიტლერელი ბრიყვები ვერ მიმხვდარან, რომ გერმანელთა ჯარების ზურგი არა მარტო ევროპაში, არამედ გერმანიაშიც წარმოადგენს ვულკანს, რომელიც მზად არის ამოხეთქოს და წალეკოს ჰიტლერელი ავანტიურისტები.

დასასრულ, მესამე ფაქტორია სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოალიცია გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტების წინააღმდეგ. ფაქტია, რომ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი გაერთიანდნენ ერთ ბანაკად, რომელმაც მიზნად დაისახა ჰიტლერელი იმპერიალისტებისა და მათი მტაცებლური არმიების განადგურება. თანამედროვე ომი მოტორების ომია. ომს ის მოიგებს, ვისაც მოტორების წარმოების მხრივ დიდი უპირატესობა ექნება. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის მოტორების წარმოება რომ შევაერთოთ, მოტორების მხრივ გერმანიასთან შედარებით სამმაგ უპირატესობას მაინც მივიღებთ. ეს არის ჰიტლერელთა ყაჩაღური იმპერიალიზმის გარდუვალი დაღუპვის ერთ-ერთი საფუძველი.

მოსკოვში ამასწინათ შემდგარმა სამი სახელმწიფოს კონფერენციამ, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ბ-ნ ბივერბრუკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ ბ-ნ ჰარიმანის მონაწილეობით, დაადგინა სისტემატური დახმარება გაეწიოს ჩვენს ქვეყანას ტანკებითა და ავიაციით. როგორც ცნობილია, ამ დადგენილების საფუძველზე ჩვენ უკვე ვიღებთ ტანკებსა და თვითმფრინავებს. ამაზე კიდევ უფრო ადრე დიდმა ბრიტანეთმა ჩვენი ქვეყანა უზრუნველჰყო ისეთი დეფიციტური მასალების მოწოდებით, როგორიც არის ალუმინი, ტყვია, კალა, ნიკელი, კაუჩუკი. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ამ დღეებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტეს მისცენ საბჭოთა კავშირს 1 მილიარდი დოლარი სესხი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის კოალიცია რეალური საქმეა **(მქუხარე ტაში)**, რომელიც იზრდება და კვლავაც გაიზრდება ჩვენი საერთო განმათავისუფლებელი საქმის საკეთილდღეოდ.

ასეთია ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ გერმანელ ფაშისტთა იმპერიალიზმის გარდუვალ დაღუპვას.

ჩვენი ამოცანები

ლენინი განასხვავებდა ორგვარ ომს: ომები დაპყრობითი და, მაშასადამე, უსამართლო და ომები განმათავისუფლებელი, სამართლიანი.

ახლა გერმანელები ეწევიან დაპყრობით, უსამართლო ომს, რომელიც მიზნად ისახავს სხვისი ტერიტორიის დაპყრობას და სხვა ხალხების დამონებას. ამიტომ ყველა პატიოსანი ადამიანი უნდა ამხედრდეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, როგორც მტრების წინააღმდეგ.

ჰიტლერის გერმანიისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირენი ეწევიან განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპისა და სსრ კავშირის დამონებულ ხალხთა განთავისუფლებას ჰიტლერული ტირანიისაგან. ამიტომ ყველა პატიოსანმა ადამიანმა დახმარება უნდა გაუწიოს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა მოკავშირეთა არმიებს, როგორც განმათავისუფლებელ არმიებს.

ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორიც არის სხვათა ტერიტორიების დაპყრობა, სხვა ხალხების დამონება, სულ ერთია, ევროპის ხალხებსა და ტერიტორიებს ეხება საქმე, თუ აზიის ხალხებსა და ტერიტორიებს, მათ შორის ირანსაც. ჩვენი პირველი ამოცანა ის არის, რომ ჩვენი ტერიტორია და ჩვენი ხალხები გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან გავათავისუფლოთ.

ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორიც არის საკუთარი ნება-სურვილისა და საკუთარი რეჟიმის თავს მოხვევა სლავი ხალხებისათვის და ევროპის სხვა დამონებული ხალხებისათვის, რომლებიც შველას მოელიან ჩვენგან. ჩვენი მიზანი ის არის, რომ ამ ხალხებს დავეხმაროთ მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ და შემდეგ საშუალება მივცეთ თავისუფლად მოეწყონ თავის ქვეყანაში ისე, როგორც მათ სწადიათ. არავითარი ჩარევა სხვა ხალხების საშინაო საქმეებში!

მაგრამ ეს მიზნები რომ განვახორციელოთ, ამისათვის გერმანელ დამპყრობთა სამხედრო ძლიერება უნდა გავანადგუროთ, უნდა გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში)**, რომლებიც ჩვენს სამშობლოში შემოიჭრნენ მის დასამონებლად.

მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქმედითად და აქტიურად დაეხმაროს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ საწარმოებში და მიაწოდონ ფრონტს სულ უფროდაუფრო მეტი ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და ქვემეხები, თვითმფრინავები, ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, საომარი მასალები, რომ ჩვენმა კოლმეურნეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ თავიანთ მინდვრებში და ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფროდაუფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა და სსრ კავშირის ყველა ხალხი დაირაზმოს ერთიან ბრძოლის ბანაკად, რომელიც ჩვენს არმიასთან და ფლოტთან მხარდამხარ ეწევა დიდ განმათავისუფლებელ ომს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, გერმანიის არმიების განადგურებისათვის **(მქუხარე ტაში).**

ეს არის ახლა ამოცანა.

ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ და კიდევაც უნდა შევასრულოთ ეს ამოცანა.

მხოლოდ ამ ამოცანის შესრულებით და გერმანელ დამპყრობთა განადგურებით შევძლებთ მივაღწიოთ ხანგრძლივ და სამართლიან ზავს.

გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის! **(მქუხარე ტაში).**

ყველა იმ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის, რომლებიც ჰიტლერული ტირანიის უღელქვეშ გმინავენ! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას და ჩვენს წითელ ფლოტს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ სამშობლოს! **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი საქმე სამართლიანია, — გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება! **(მქუხარე ტაში, ყველანი დგებიან. შეძახილები „დიდ სტალინს — ურა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“. მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არა სცხრება).**

თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა

წითელი არმიის პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე მოსკოვში

ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, მუშებო და მუშა-ქალებო, კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, ინტელიგენტური შრომის მუშაკებო, ჩვენი მტრის ზურგში მყოფნო ძმებო და დებო, რომელნიც დროებით გერმანელი ყაჩაღების უღელქვეშ მოექეცით, ჩვენო სახელოვანო პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო, რომელნიც გერმანელ დამპყრობთა ზურგს ანგრევთ!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით თქვენ და გილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავს.

ამხანაგებო! მძიმე პირობებში გვიხდება დღეს ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავის დღესასწაულობა. გერმანელ ყაჩაღთა ვერაგულმა თავდასხმამ და ომმა, რაც ჩვენ თავს მოგვახვიეს, საფრთხე შეუქმნეს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ დროებით დავკარგეთ მთელი რიგი ოლქები, მტერი ლენინგრადისა და მოსკოვის კარებს მოადგა. მტერს იმის იმედი ჰქონდა, რომ პირველი დარტყმისთანავე ჩვენი არმია გაიფანტებოდა, ჩვენი ქვეყანა წამოიჩოქებდა, მაგრამ მტერი სასტიკად მოტყუვდა. დროებითი წარუმატებლობის მიუხედავად, ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი გმირულად იგერიებენ მტრის იერიშებს მთელი ფრონტის მანძილზე და დიდ ზარალს აყენებენ მას, ხოლო ჩვენი ქვეყანა, — მთელი ჩვენი ქვეყანა, — ერთიან საბრძოლო ბანაკად დაირაზმა, რათა ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტთან ერთად განახორციელოს გერმანელ დამპყრობთა განადგურება.

იყო ისეთი დღეები, როდესაც ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. გაიხსენეთ 1918 წელი, როდესაც ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლისთავს ვდღესასწაულობდით. ჩვენი ქვეყნის სამი მეოთხედი მაშინ უცხოელ ინტერვენტთა ხელში იყო. უკრაინა, კავკასია, შუა-აზია, ურალი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი ჩვენ მიერ დაკარგული იყო დროებით. ჩვენ არ გვყავდა მოკავშირეები, ჩვენ არ გვყავდა წითელი არმია — ჩვენ ის-ის იყო ვიწყეთ მისი შექმნა, გვაკლდა პური, გვაკლდა იარაღი, გვაკლდა ტანსაცმელი. 14 სახელმწიფო უტევდა მაშინ ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ჩვენ გულს არ ვიტეხდით, სულით არ ვეცემოდით. ომის ქარცეცხლში შევქმენით მაშინ ჩვენ წითელი არმია და ჩვენი ქვეყანა სამხედრო ბანაკად გადავაქციეთ. დიდი ლენინის სული აღგვაფრთოვანებდა მაშინ ჩვენ ინტერვენტთა წინააღმდეგ ომისათვის. და რა მოხდა? ჩვენ დავამარცხეთ ინტერვენტები, დავიბრუნეთ მთელი დაკარგული ტერიტორიები და მივაღწიეთ გამარჯვებას.

ახლა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე 23 წლის წინათ იყო. ჩვენი ქვეყანა ბევრად უფრო მდიდარია ახლა მრეწველობითაც, სურსათითაც და ნედლეულითაც, ვიდრე 23 წლის წინათ. ჩვენ ახლა გვყავან მოკავშირეები, რომლებსაც ჩვენთან ერთად გაუმართავთ ერთიანი ფრონტი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ახლა ჩვენ ვსარგებლობთ ევროპის ყველა იმ ხალხის თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, რომლებიც ჰიტლერის ტირანიის უღელქვეშ მოექცნენ. ახლა ჩვენ გვყავს შესანიშნავი არმია და შესანიშნავი ფლოტი, რომლებიც მკერდით იცავენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ჩვენ არ განვიცდით არც სურსათის, არც იარაღის, არც ტანსაცმლის სერიოზულ ნაკლებობას. მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხები ზურგს უმაგრებენ ჩვენს არმიას, ჩვენს ფლოტს, ეხმარებიან მათ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოების განადგურებაში. ჩვენი ადამიანთა რეზერვები დაუშრეტელია. დიდი ლენინის სული და მისი ძლევამოსილი დროშა აღგვაფრთოვანებენ ჩვენ ახლა სამამულო ომისათვის ისევე, როგორც 23 წლის წინათ.

განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ და კიდეც უნდა გავიმარჯვოთ გერმანელ დამპყრობლებზე?

მტერი არც ისე ძლიერია, როგორც მას ზოგიერთი შეშინებული ინტელიგენტუნა გვიხატავს. ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც მას გვიხატავენ. ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ჩვენს წითელ არმიას არაერთხელ გაუქცევია პანიკით მოცული გერმანელთა „ნაქები“ ჯარები? თუ ვიმსჯელებთ არა გერმანელ პროპაგანდისტთა ტრაბახა განცხადებების მიხედვით არამედ გერმანიის ნამდვილი მდგომარეობის მიხედვით, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები კატასტროფის წინაშე დგანან. გერმანიაში ახლა გამეფებულია შიმშილი და სიღატაკე, 4 თვის ომის განმავლობაში გერმანიამ 4-ნახევარი მილიონი ჯარისკაცი დაკარგა. გერმანია სისხლისაგან იცლება, მისი ადამიანთა რეზერვები ილევა, აღშფოთების სულისკვეთება ეუფლება არა მარტო ევროპის ხალხებს, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, არამედ თვით გერმანელ ხალხსაც, რომელიც ომის დასასრულს ვერ ხედავს. გერმანელი დამპყრობნი უკანასკნელ ძალებს სძაბავენ. ეჭვი არ არის, რომ გერმანია დიდხანს ვერ გაუძლებს ასეთ დაძაბულობას. კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც, — და ჰიტლერის გერმანიას თავის დანაშაულთა სიმძიმე გასრესს.

ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე! დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!

გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, მის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას!

ლენინის დროშით — წინ, გამარჯვებისაკენ!

ოქტომბრის 24 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში

6 ნოემბერს საღამოს, ოპერის თეატრში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 24 წლისთავის აღსანიშნავად შედგა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ვიდრე სხდომა დაიწყებოდა კრებამ დაძაბული ყურადღებით მოისმინა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მოხსენება, წარმოთქმული მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე და ტრანსლირებული რადიოთი.

ბელადის მომწოდებელ სიტყვებზე— „ჩვენი საქმე სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, — მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და დიდხან არ დამცხრალა მქუხარე ოვაცია დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

ათი წუთის შესვენების შემდეგ საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. ი. კოჩლამაზაშვილმა.

ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს.

— ამხანაგი **სტალინი!**

დამსწრენი უდიდესი აღფრთოვანებით, ფეხზე ამდგარნი, ხანგრძლივი ოვაციით გამოხატავენ თავის მხურვალე სიყვარულს და უსაზღვრო ერთგულებას ხალხთა ბელად ამხანაგ **სტალინისადმი.**

მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს: **ვ. მ. მოლოტოვს, კ. ე. ვოროშილოვს, მ. ი. კალინინს, ა. ა. ანდრეევს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. მიქოიანს, ა. ა. ჟდანოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ლ. პ. ბერიას, მ. მ. შვერნიკს, გ. მ. მალენკოვს, ა. ს. შჩერბაკოვს, ნ. ა. ვოზნესენსკის.**

მოხსენებით ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავის შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ნ. **ჩარკვიანი.**

ამხ. კ. ნ. **ჩარკვიანს** არაერთხელ აწყვეტინებდნენ მოხსენებას ტაშით ხალხთა ბელად ამხანაგ **სტალინის**, ბოლშევიკების პარტიის პატივსაცემად, ჩვენი გმირული წითელი არმიის პატივსაცემად, რომელიც უდიდეს ზარალს აყენებს მტრის ურდოებს, იცავს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშით მიღებულ იქნა წინადადება გაეგზავნოს მისალმება ამხანაგ **სტალინს.** მისალმების წაკითხვას არაერთხელ აწყვეტინებდნენ აღტაცებული ოვაციებით დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

ახალი ძალით გაისმის ხანგრძლივი ტაში, როდესაც მიღებულ იქნა მისალმება მშობლიური მოსკოვის მშრომელებისადმი.

საბჭოთა ინტელიგენციავ! მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე და ცოდნა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან

ოქტომბრის დროშა არ დაიხრება

ირაკლი აბაშიძე

სამამულო ომის მკაცრ და მრისხანე დღეებში, ტრაგიზმით აღსავსე დღეებში აღნიშნავს ჩვენი სამშობლო, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი თავის მშობლიური დიდი ოქტომბრის ოცდაოთხი წლისთავს. მთელი საბჭოთა ხალხი გამოსულა დღეს შრომის ფრონტზე და ბრძოლის ველზე, თავგანწირულად იცავს რა ოქტომბრის მონაპოვარს ლენინგრადის, მოსკოვის, ყირიმის და როსტოვის მისადგომებზე. თავისი არსებობის და ღირსების დასაცავად გაჩაღებულ დიად ომში საბჭოთა ხალხი მაგრად ჩასჭიდებია ათეული წლების სისხლისმღვრელ ბრძოლებში და დაძაბულ შემოქმედებითს შრომაში გამოტარებულ ოქტომბრის დროშას, ლენინ-სტალინის პარტიის დროშას, რომელზედაც აღბეჭდილია სოციალიზმის გამარჯვებანი. არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში თავისუფლებისა და ადამიანობისათვის მებრძოლ ხალხებს წინ არ წამძღვარებიათ ესოდენ წმინდა დროშა, დროშა, რომელზედაც წარწერილია უკვე სინამდვილედ ქცეული კაცობრიობის მოწინავე შვილთა ბრწყინვალე იდეალები.

1917 წლის 7 ნოემბერს მუშამ და მშრომელმა გლეხმა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის წინამძღოლობით მოიპოვეს ისეთი ქვეყნის აშენების შესაძლებლობა, სადაც არ იქნებოდა ერთი ადამიანისაგან მეორის ჩაგვრა, ერთი ერისაგან მეორის დამონება.

ოცდაოთხი წლის ბრძოლით და შრომით ჩვენ შევქმენით ეს ქვეყანა, ჩვენ შევქმენით ქვეყანა, სადაც არ არსებობს არც სოციალური, არც ეროვნული ჩაგვრა, სადაც სოციალისტური საკუთრება არის საფუძველი ახალი საზოგადოებისა. სადაც თავისუფლების დიდი ხარტია — სტალინური კონსტიტუცია ყველა მოქალაქისათვის უზრუნველჰყოფს სოციალისტური დემოკრატიის უმაღლეს ფორმებს, უზრუნველჰყოფს უფლებას შრომაზე, უფლებას განათლებაზე, უფლებას დასვენებაზე; ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა, სადაც ყოველი მოქალაქე თავისუფალია კაპიტალისტური სამყაროს ბორკილებისგან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე არ აძლევდნენ მას იდეურ-მორალური წინსვლის და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას. ჩვენ შევქმენით ქვეყანა, სადაც ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული შრომა გადაიქცა სახალხო შემოქმედების უძლიერეს და დაუშრეტელ წყაროდ ცხოვრების ყველა სფეროში. ამ განთავისუფლებულმა შრომამ წარმოშვა სტახანოვური მოძრაობა, რომელმაც საარაკოთ გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გახდა ხიდი კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. საბჭოთა ადამიანის თავისუფალმა შრომამ დაიპყრო არქტიკის ყინულოვანი სივრცეები, ჩრდილოეთის პოლიუსი, გახსნა და სახალხო დოვლათად — დაზგებად, ავტო-მანქანებად, ტრაქტორებად, თვითმფრინავებად აქცია მიწის წიაღის სიმდიდრენი, პურის ჯეჯილებით ამწვანა ჩრდილოეთის მანამდე გამოუყენებელი ველმინდვრები, გაიყვანა ბელომორის და ვოლგა-მოსკოვის არხები, ააგო წარმტაცი მეტროპოლიტენი, მორწყო და ბამბის პლანტაციებით მოჰფინა კაზახსტანის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის უდაბნოები, აყვავებულ სუბტროპიკულ ბაღნარად აქცია კოლხიდის მანამდე დაჭაობებული ველები. ეს არის ნაყოფი, რომელიც თავისუფალი შრომის მეოხებით აღმოცენდა ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაბნეულ მადლიან თესლზე.

ასევე მადლიანია სულიერი კულტურის სფეროში მოპოვებული ნაყოფი. დიდმა ოქტომბერმა გააღვიძა და აამოქმედა ყველა ხალხის სულიერი შემოქმედების ძალები. აღორძინდა და აყვავდა მეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, თეატრალური და სახვითი ხელოვნება. ყველა ერის კულტურას წინ უდიდესი ასპარეზი გადაეშალა. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, მოსკოვში გამართულ დაუვიწყარ დეკადების დროს საბჭოთა ხალხებმა მოიტანეს და ერთმანეთს გააცნეს არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების სათუთი მზრუნველობის მეოხებით შექმნილი ახალი სოციალისტური კულტურის ნიმუშები, არამედ ყველა ის განძიც, რაც მათ ისტორიულ წარსულში შეუქმნიათ, მაგრამ, რაც საუკუნეების მანძილზე ეროვნული შეზღუდულობის ფარგლებს არ სცილდებოდა.

წინათ ჩაგრულ ხალხთა კულტურის საყოველთაო აღიარება და დაფასება, ის განუზომელი სიხარული და გულწრფელი აღტაცება, რომლებსაც ამ კულტურის ნიმუშთა ხილვა იწვევდა ყველა ეროვნების საბჭოთა მოქალაქეში, ამხნევებდა დიდი კულტურული შემოქმედების ფართო ასპარეზზე ახლად გამოსულ ხალხის შვილებს, ნერგავდა მათში ეროვნულ თვითშეგნებას, დაჯერებას თავის საკუთარ ძალებში, იმის რწმენას, რომ მათაც შეუტანიათ და შესწევთ უნარი მომავალშიაც შეიტანონ თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი საკაცობრიო კულტურის საგანძურში. ურთიერთ გაცნობა აღვივებდა ურთიერთ პატივისცემის გრძნობას, რწმენას ურთიერთის დიდ შემოქმედებითს შესაძლებლობაში, სულიერად ანათესავებდა და აძმობილებდა ხალხებს, ჰქმნიდა იმას, რასაც ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობა ეწოდება.

ურყევი სტალინური მეგობრობით შემჭიდროებულ ხალხთა ოჯახს, მათ უძვირფასეს მონაპოვარს ემუქრება დღეს ბარბაროსული ფაშიზმი, ის უხეში და ტლანქი ძალა, რომლის ორი წლის ბატონობამ დასავლეთ ევროპის ხალხებს მოუტანა მხოლოდ ზღვა სისხლი, მხოლოდ სიკვდილი და განადგურება. სტიქიასავით ბნელი და ულმობელი ეს ძალა მოდის ჩვენს მიწა-წყალზე, როგორც წყვდიადი სინათლის წინააღმდეგ. ის მოიწევს ჭაღარა კრემლის კედლებისაკენ, რომ ჩააქროს მის კოშკებზე აღმართული ხუთქიმიანი ვარსკვლავის ელვარება, რომ ჩამოხსნას და თავისი ბინძური ჩექმით გასთელოს ხალხებისათვის ბედნიერების მიმნიჭებელი ლენინ-სტალინის მაღალი დროშა.

ეს არ მოხდება! სიბნელე ვერ გაიმარჯვებს სინათლეზე. ოქტომბრის დროშა არ დაიხრება, რადგან იგი უკავია ორასმილიონიანი საბჭოთა ხალხის რკინის ხელს, რომელსაც ვერ გაჰკვეთს ვერავითარი ტყვია, რომელსაც ვერ მოდრეკს ვერავითარი ტანკი. ოქტომბრის დროშა არ დაიხრება, რადგან ის ხელში უჭირავს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, საბჭოთა ხალხის სიმტკიცისა და შეურყევლობის განსახიერებას — **დიდ სტალინს.**

კვლავ გაიხარებს ჩვენი სამშობლო

შალვა დადიანი

ოცდაოთხჯერ შემოტრიალდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ჩარხი.

ოცდაოთხჯერ სამასსამოცდახუთი დღე და ზოგჯერ მეტიც იყო ბევრი სიძნელისა და დაბრკოლების გადამლახავი, დღეები, თავგამოდებული შრომისა, ზრდისა და განმტკიცებისა.

მთელს საბჭოთა კავშირში ლაღად გაისმოდა თავისუფალი ხალხის შრომის გუგუნი და ერთ-ერთი ტურფა კუთხე ჩვენი დიადი სამშობლოსი — საქართველო — ამ საამაყო საქმეში დანარჩენ თავის მოძმეებს როდი ჩამორჩენია:

მუშა გულს უხსნიდა ბუნების წიაღს და იქიდან გამოჰქონდა განძეული, რომ შემდეგში სხვადასხვა ფეროშენადნობთა სახით ხალხისათვის მიეცა საჭირო და სასარგებლო საგნები;

გლეხი დაჰღიღინებდა თავის ციტრუსოვან ბაღნარს, რომლის ნაყოფიც ოქროსფრად პირში შესცინოდა;

მეცნიერი იჯდა თავის ლაბორატორიაში და საბჭოთა ქვეყნის ღრმა მცოდნეობას უფრო მეტად აუხვებდა;

ხელოვანი-მწერალი, არტისტი, მხატვარი, მუსიკოსი უფრო და უფრო მაღლა ადიოდა ოსტატობის მომხიბლველ საფეხურზე, და იხარებდა ქვეყანა, ხარობდა ხალხი.

ყოველი წლისთავი ჩვენის დიადი დღესასწაულისა იყო ჩვენ შემოქმედებათა, ჩვენი მშენებლობის შეჯამების ზეიმი და ზადიკობა.

დღეს მრისხანე დღეები დგას.

ჩვენს ქვეყანას შემოსევია ვერაგი მტერი თავგასული ფაშიზმის სახით და ყოველივე ჩვენი ზნეობრივი და ნივთიერი მონაგარის წალეკვას ლამობს.

ჩვენ უკვე ვიცით, წავიკითხეთ, გავიგეთ, რაც სწადიათ აღვირ-ახსნილ ფაშისტებს:

ყველა ხალხის ბატონები ჩვენ უნდა ვიყოთ, დანარჩენები კი მონებად უნდა გვეყოლოსო.

ცხადია, ასეთი გასაოცარი, უხეში აზრი პოპულიარობას ვერსად ვერ მოიპოვებს, და ამაშია კიდეც შინაგანი მარცვალი ფაშიზმის დამარცხებისა.

იგი ამჟამად დაეჯახა უმაღლეს მოძღვრებას ხალხთა მეგობრობისა, სიყვარულისა და თავისუფლებისას, რომლის საუცხოვო დროშა აგერ ოცდაოთხი წელიწადია აღმართულია მთელს საბჭოთა კავშირში.

ეს დროშა კი ამაყად უჭირავს ისეთს მტკიცე ხელს, როგორიც თვითონ დიდი და უებრო **სტალინია.**

ჩვენ ამ დიდი ბელადის გარშემო შემოკრებილნი ვართ და თან გვახლავს ის სულიერი სიმტკიცე, რაც ბოლშევიკური პარტიის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს.

ტანკები, აეროპლანები და სხვა საომარი საჭურველი მეტად დიდი საქმე და სიძლიერეა ესეთ უმაგალითო ომის დროს, მაგრამ მაინცდამაინც ეს ყოველივე ზედდანართია იმ სულიერი სიმტკიცისა და ახოვნებისა, რომელიც ახლავს საბჭოთა ხალხს.

ეს არის ჩვენი დასაყრდენი სალი კლდე, ამაშია ჩვენი ძლიერება.

სულით მტკიცე ხალხი დაუძლეველია.

ამ ღრმა რწმენით ვეგებებით დღესაც ჩვენს დიად ოქტომბრის დღესასწაულს.

ამით ვსუნთქავთ, ამითი ვცოცხლობთ.

გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული ჩარხი კვლავ სწორმართოთ იტრიალებს, მტერი განადგურებული იქნება და დიდ სტალინთან ერთად კვლავ გაიხარებს მთელი საბჭოთა კავშირი.



ლენინგრადს

ი. გრიშაშვილი

მე შენს ქუჩებში მესმის ქართული
შეძახილები მებრძოლ ლომებთან,
სარდლის სიტყვები კლდედ ამართული
დედაქალაქის მისადგომებთან.

მე შენს შადრევნებს ცამდე აყვანილს
ბალღობიდანვე ლექსებში ვზრდიდი,
გამარჯვებების იყავ აკვანი
და პოეტების წალკოტი დიდი.

წიბოვ და ღვიძლო! დღეს ისევ ბრგე ხარ,
შენი ლაშქარიც ისევ მხნედ არი,
შენ ისევ ისე ამაყად დგეხარ,
როგორც პუშკინის თუჯის მხედარი.

ბალტიკის მეზღვაურებს

ალექსანდრე აბაშელი

თავისუფლების აკვნის მცველებად
დგახართ ბალტიკის მეზღვაურები
მტრის თვალის ყოველ გამოელვებას
ჰექა-ქუხილით ეხმაურებით.

ზღვა, თქვენის ცეცხლით გადასერილი,
ბანს აძლევს გრიალს სუსხიან ქართა.
თვითონ კრონშტადტიც კრეისერივით
დგას ლენინგრადის ჩარაზულ კართან.

ზღაპრულ დევების ქარავანს ჰგავხართ,
როცა მდუღარე ღვართქაფში სცურავთ.
მძლავრ სტიქიონის ეკრანზე ჰსახავთ
გმირულ ბრძოლათა მრისხანე სურათს.

იღება უცებ ღრუბლების კარი,
ნიშანს იძლევა სტალინის ორბი,
და ამღერებულ ტალღებში მდგარი
შეტორტმანდება გემების მწყობრი.

მტრის შესახვედრად ზღვაში გავა და
კვლავ მოგვაგონებს იმ ღამეს, როცა
წითელ „ავრორის“ მეხის გავარდნამ
ოქტომბრის დილის სინათლე მოგვცა.

დღეს იმ სინათლის თქვენ იცავთ კერას,
იმ გათენების უწმინდეს ალაგს,
მტერს ანადგურებთ ბოროტს და ვერაგს
ჰგუშაგობთ ფხიზლად ლენინის ქალაქს.

ოქტომბრის დილა დედაქალაქში

დავით გაჩეჩილაძე

როს მზე ამოვა ზეცაზე ფრთხილად
და ნისლის ფარდას სხივებით არხევს,
კვლავ გადმოხედავს ოქტომბრის დილა
დიად მოსკოვის დართვილულ სახლებს.

დახედავს, წავა ტრიალ გზა-კვალით,
წინ მიუძღვება დროშების ალი...
მაგრამ რად ბრწყინავს კრემლის ვარსკვლავი,
როგორც ვაჟკაცის მრისხანე თვალი?

რად ღელავს მხარე უზარმაზარი
წინად მომღერნი და მოხალისე?..
და თითქოს მის წინ, კვამლით, ხანძარით
ცხრაასჩვიდმეტი გაცოცხლდა ისევ...

თითქოს კვლავ ცეცხლში ყრმობაა მისი
და ყუმბარებით ცა აგუგუნდა;
ო, არ ჩაქრება მზე მარადისი
და ოქტომბერი აქ ივლის მუდამ.

აქ, ვიდრე კრემლი ცას თაღით ეკვრის
და მოედანზე როგორც მხნეობა
დგას პაჟარსკის და მინინის ძეგლი,
მუდამ იმღერებს ხალხის დღეობა.

იგი სითბოა გამარჯვებულთა
და ქარიშხალი ბობოქარ ხალხის.

აი ლენინის მავზოლეუმთან
წამს მოკრძალებით ძირს დროშას დახრის,

და შემდეგ ისევ მაღლა ამართავს,
მიდის, მიელავს შეუსადარი,
სად ველზე ებრძვის ურდოს მტარვალთა
სტალინი, ხალხთა ბრძენი სარდალი.

მიდის იქ, სადაც ცეცხლში და კვამლში
გაჰყიჟინებენ ვაჟკაცნი ველებს,
და მილიონი უმანკო ბავშვი
ბელადს უწვდიან ვარდისფერ ხელებს.

და კვლავ უღიმის ბავშვებს ბელადი,
თან მტერს გაჰყურებს თვალმოელვარე:
— წინ, საბოლოო გამარჯვებამდი,
გმირნო, დავიცვათ მშობელი მხარე!

სტალინთან ერთად ჰქუხს ოქტომბერი,
ძლევამოსილი წინ მიაბიჯებს.
ო, ვერ შეანგრევს ვერასდროს მტერი
დედა-ქალაქის მტკიცე კარიბჭეს.

ის ვერ წაბილწავს ჩვენს ნაამაგდარს,
ვიდრე ჯერ სუნთქავს ვაჟკაცის მკერდი,
და თავგანწირულ გმირს თავზე ადგას
დიად ოქტომბრის შარავანდედი.

ბელადის წინამძღოლობით ფაშიზმის სრულ განადგურებამდე

დიდი ოქტომბრის XXIV წლისთავის შესახებ 6 ნოემბერს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულმა ბელადის მოხსენებამ და ბელადის სიტყვამ წითელი არმიის პარადზე 7 ნოემბერს კვლავ შეურყეველი მხნეობით, გაუტეხელი სიმტკიცის ძალით აღჭურვა მთელი საბჭოთა ხალხი. ამ ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნებამ და მით გამოწვეულმა ენტუზიაზმმა 8 ნოემბერს საღამოს მწერალთა კლუბში თავი მოუყარა საქართველოს მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებს — ჩვენს ცნობილ მწერლებს, თეატრალურ მოღვაწეებს, მუსიკოსებს და მხატვრებს.

მიტინგი გახსნა ირაკლი აბაშიძემ.

ხალხით გაჭედილ აუდიტორიას სიტყვით მიმართა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ილია თავაძემ. მქუხარე, დიდხანს შეუწყვეტელი ოვაციით ხვდება აუდიტორია ამხ. ი. თავაძის სიტყვას, განსაკუთრებით იმ მომენტებში, როცა იგი ბელადის სწორუპოვარს ხელმძღვანელობაზე, მის გენიალურ შორსმჭვრეტელობაზე და საბჭოთა ხალხის, წითელი არმიის სიმამაცეზე და გულადობაზე ლაპარაკობს.

— ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენება, ამბობს ორდენოსანი პოეტი ამხ. ალიო მაშაშვილი, აძლიერებს ჩვენი ხალხის, მუშებისა, გლეხების და საბჭოთა ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. ამხანაგ სტალინის სიტყვა ისმის, როგორც მოწოდების ზარი მტრების განადგურებისათვის, როგორც იმედი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა.

— დიდი სტალინის მოხსენება, — სთქვა ამხ. ბ. ჟღენტმა, კიდევ უფრო მჭიდროდ გვრაზმავს და აღგვაგზნებს ჩვენ ახალი საგმირო საქმეებისათვის, ჩვენი დიდი, დედა-სამშობლოს დასაცავად. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ მას არ ჰყავს და არასოდეს არ ჰყოლია ისე მძვინვარე და საშიში მტერი, როგორიც გერმანული ფაშიზმია. რა ჯოჯოხეთური საომარი მანქანაც არ უნდა ქონდეს ფაშიზმს, იგი მაინც ვერ გაუძლებს იმ დიდ ძალას, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა ხალხის სიმტკიცე, ჩვენი ბელადის შეუდრეკელი ნებისყოფა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოების ერთიანი ფრონტი.

—ბელადის სიტყვამ,—განაცხადა ორდენოსანმა პოეტმა გ. ლეონიძემ, თვითეულ ჩვენგანში დანერგა ახალი სიმტკიცე და ურყევი რწმენა გამარჯვებისა, ბელადის მოწოდება ჩვენგან — ქართული ხელოვნების რაზმისაგან მოითხოვს მეტ თავდადებულ შრომას, უფრო დიდ შემოქმედებას. ამ მრისხანე დღეებში ჩვენ უნდა მივცეთ ხალხს ჩვენი გული, ჩვენი ნიჭი, ჩვენი უფაქიზესი გრძნობები, ჩვენი გამოცდილება და ჩვენი სიცოცხლეც.

— მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობით, — სთქვა სსრ კავშირის არტისტმა აკაკი ვასაძემ, — ქართული ხელოვნების მუშაკთა რაზმმა მოწინავე ადგილი დაიკავა, დიდი ბელადის ისტორიული მოხსენება კვლავ ბრძოლის წყურვილით აღგვაგზნებს და გვავალებს რომ ეს მოწინავეობა შევინარჩუნოთ დიადი სამამულო ომის ფრონტზედაც.

— ამ ტრაგიკულ მომენტში, — სთქვა ამხ. გერონტი ქიქოძემ, — როდესაც სასწორზე დაიდო ყველა ის ღირებულება, ურომლისოდაც ადამიანის არსებობას ყოველი აზრი ეკარგება, როდესაც სასწორმა საბედისწერო ქანაობა დაიწყო და თითქო ერთი შეხედვით, სვასტიკისაკენ გადაიხარა, ამ დროს გამოვიდა ძლიერი ნებისყოფისა და გონების ადამიანი და სთქვა: შესდექ! ჩვენი დამარცხება შეუძლებელია! ჩვენი დამარცხება შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება ისეთი მტკიცეა, როგორც არცერთი წესწყობილება არ ყოფილა არასოდეს; შემდეგ იმიტომ, რომ ჩვენი ციხის გატეხა შიგნიდან არ მოხერხდება, ხოლო გარეთ ძლიერი და საიმედო მეგობრები გვყავან, ბოლოს იმიტომ, რომ ჩვენი საქმე მორალურად გამართლებულია. ბელადის შთამგონებელი სიტყვის შემდეგ ნიადაგი გამოეცალა ყოველ სკეპტიციზმს ჩვენი მომხრეების რიგებში, ხოლო მოწინააღმდეგის რიგებში კი დიდ შეშფოთებას გამოიწვევს.

— ოქტომბრის XXIV წლისთავისადმი მიძღვნილ თავის გენიალურ მოხსენებაში დიდმა სტალინმა, — სთქვა ორდენოსანმა რეჟისორმა ნ. შენგელაიამ ეჭვმიუტანელი სიცხადით დაგვარწმუნა—თუ რატომ უნდა დაიღუპოს ფაშისტური გერმანია, თუ რატომ უნდა აღიგავოს მიწის პირისაგან ფაშისტური ბნელეთი.

დასასრულ გამოვიდა პოეტი სანდრო ეული, რომელმაც მიტინგს რეზოლუცია წარუდგინა. დიდხანს არ ცხრება ტაში და ვაშას ძახილი, როცა მიტინგი ისმენს რეზოლუციის დასკვნითს სიტყვებს:

ვაშა და დიდება ჩვენს წითელ არმიას და წითელ ფლოტს!

დღეგრძელი იყოს ჩვენი იმედი და სიამაყე, ჩვენი ბრძენი და უძლეველი სარდალი, მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადი დიდი **სტალინი.**

ჩვენი მშობლიური დღესასწაული

ლეო ქიაჩელი

სრულიად განსაკუთრებულ პირობებში ხვდება საბჭოთა კავშირი დიდი ოქტომბრის წლევანდელ დღესასწაულს. მეოცე საუკუნის ვანდალები განადგურებითა და წალეკვით ემუქრებიან გამარჯვებული სოციალიზმის სამშობლოს, უმაგალითო შრომითა და ოფლით მოპოვებულ მის კეთილდღეობას. ნაცვლად მშვიდობიანი ჩაქუჩის ცემისა ქარხნებში, ნამგლის ტრიალისა აყვავებულ მინდვრებსა და ველებში, დღეს საბჭოთა ქვეყნის მშენებელთ მრისხანე და ვერაგ თავდამსხმელთა მოსაგერიებლად თოფი და ყუმბარა უჭირავთ ხელში. საოქტომბრო სიმღერების ქუხილი კიდითკიდემდე „ჰკა მაგას“ მედგარი ძახილით არის შეცვლილი და შრომის გმირების ადგილს ათასობით იჭერენ სამშობლოსთვის თავგანწირული ომის გმირები.

დღესასწაული მაინც დღესასწაულად რჩება ისე, როგორც ყოველთვის ამ ოცი წლის მანძილზე, ისე, როგორც ყოველთვის დარჩება იგი დღესასწაულად, სანამ მშრომელ კაცობრიობაში თავისუფლებისადმი სწრაფვა იარსებებს.

დღეს ვინ არ იცის, თუ რით არის გამოწვეული ხალხის შეუნელებელი სიყვარული დიდი ოქტომბრის რევოლუციისადმი. ვის არ შეუძლიან დღეს რიგ-რიგობით ჩამოსთვალოს ის უმაგალითო გარდატეხანი ცხოვრების ყველა სფეროში, რომელთა საფუძველზე აშენდა დიდი საბჭოთა კავშირი.

მაგრამ ერთი წვეთი წყალიც ხომ მთელი სისავსით გამოაჩენს მზის ელვარებას და იქნება სჯობდეს ოქტომბრის მზის სიდიადეც პატარა მაგალითში დავინახოთ.

ეს იყო ორიოდე წლის წინად. სამხრეთ-ოსეთი ზეიმობდა თავისი შესანიშნავი პოეტისა და მოქალაქის იუბილეს. ზეიმზე მოწვეულნი იყვნენ მოძმე ხალხთა და რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, — რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის და სხვათა. მეც დავესწარი ამ ნამდვილ სახალხო დღესასწაულს. ზეიმის ხელმძღვანელმა კომიტეტმა დელეგატები იუბილარის ნაწარმოებთა ერთტომეულით დაგვასაჩუქრა. ეს იყო დიდტანიანი წიგნი, ოსურ ენაზე გამოცემული. მე მიხაროდა და თან მიკვირდა, რომ ამ პატარა ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ საკუთარი მწერლობის ნასახიც არ გააჩნდა, ესოდენი დიდი წიგნი ჰქონდა დაბეჭდილი თავის ენაზე. ფურცელ-ფურცელ რომ დაგეშალათ იგი, მგონია, მთელი სამხრეთ-ოსეთის მიწა-წყალს თავით ბოლომდე დაფარავდა. ბედნიერები იყვნენ იმ დღეს ოსები. დიდი და პატარა, ქალი და კაცი თანაბრად გრძნობდა განსაკუთრებულ სიამაყეს: გაგვიცანით, ვინცა ვართ, და საკაცობრიო იდეალებს როგორ ვემსახურებითო, ამბობდა მათი აღფრთოვანებული სახე. თითეულს ეტყობოდა, რომ კოსტა ხეთაგუროვის პოეზიის გამარჯვება საკუთარის თავის გამარჯვებად მიაჩნდა, რადგანაც დიდი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი ოსი იყო, თავის ხალხის გულისნადების გამომთქმელი, მისი უფაქიზესი სწრაფვისა და ფიქრების გამომხატველი. უცქეროდი ამ ბედნიერ სახეებს და ვფიქრობდი: რა შეიძლება შეედაროს-მეთქი თავისი შინაგანი ბრწყინვალებით პატარა ხალხის სულიერ სიხარულს, როცა მისი გონების განძს ასე ღირსეულად აფასებენ და მის სახელს დამსახურებული დიდებით ამკობენ?

კოსტა ხეთაგუროვი უთავშესაფარო დევნილი პოეტი იყო ძველს რუსეთში, ხოლო მისი სამშობლო არც ერთ რუკაზე არ იყო აღნიშნული როგორც ქვეყანა.

მე ვიმყოფებოდი პატარა ხალხის დღესასწაულზე, მაგრამ, ისე, როგორც დანარჩენი დელეგატები, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი, რომ ვესწრებოდი უდიდეს დღესასწაულს, რომელიც კი ოდესმე გამართულა. ეს იყო ნამდვილად დიდი ოქტომბრის უბრწყინვალესი გამართლების დღესასწაული.

და უნდა იცოდეს ყველამ:

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის დღესასწაული მუდამ დარჩება უდიდეს ზეიმად როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების, ისე მთელი მოწინავე კაცობრიობის.

დიდება დიდი სამამულო ომის გმირებს— წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებიც მამაცურად იცავენ ჩვენი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან.

ხალხთა მეგობრობის დროშით

გერონტი ქიქოძე

რუსი და ქართველი ერის ძმური კავშირი უმაგალითო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში; ის თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში გრძელდება. რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთ ერთგულების და სიყვარულის გრძნობა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მომდინარეობს, როცა კახეთის მეფეებმა მოსკოვის მეფეებს პირველად მიმართეს მფარველობისა და დახმარებისთვის. მისი ამღვრევა ვერ შესძლო თვით რუსეთის ცარიზმის უგუნურმა, ძალმომრეობით აღსავსე პოლიტიკამ მეცხრამეტე საუკუნეში. ქართველი ხალხი რუსის ხალხს, რომელიც მასავით იტანჯებოდა და იბრძოდა, ყოველთვის არჩევდა გონებაჩლუნგი და სულმდაბალი რუსიფიკატორებისა და იმპერიალისტებისაგან.

პირველი შეხედვით ეს თითქო ძნელად ასახსნელი ფაქტია. ერთის მხრით სდგას უდიდესი თანამედროვე ერი, ძლიერი თავისი რიცხვით, ტერიტორიის განუსაზღვრელი სივრცით, დაუხარჯავი ენერგიით და ყველა იმ უპირატესობით, რომელსაც ახალგაზრდობის ასაკი იძლევა. მეორე მხარეზეა პატარა ერი, რომელიც ერთს დროს საკმაოდ ძლიერი, მრავალრიცხოვანი და კულტუროსანი იყო და კაცობრიობის მოწინავე რიგებში იდგა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად თავგანწირული ბრძოლა ეწარმოებინა მტრულად განწყობილი მეზობელი იმპერიების წინააღმდეგ. ამ უსწორო ბრძოლაში ის კინაღამ სისხლიდან დაიცალა და, ბოლოს, თავის ჩრდილოელ მოძმეს შეეკედლა.

რაკი ქართველმა ხალხმა ერთხელ პირი იბრუნა ჩრდილოეთისკენ, შემდეგ მას პოლიტიკური ორიენტაცია, არსებითად აღარ გამოუცვლია და ყველა ძველი და ახალი მეტად თუ ნაკლებად გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური ხელმძღვანელი — კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე, თეიმურაზ პირველი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე, საბა-სულხან ორბელიანი, კათალიკოსი ანტონ პირველი, ერეკლე მეორე, სოლომონ პირველი და მრავალი სხვა — მტკიცედ ადგა რუსეთთან დაახლოების გზას. თვით მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები და მოღვაწეები — ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვები წინააღმდეგი იყვნენ სეპარატული პოლიტიკისა. ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკური ავტონომია და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მისცემოდა დიდი მთლიანი რუსეთის ფარგლებში, ე. ი. ბევრად უფრო ნაკლებს სჯერდებოდნენ, ვიდრე საბჭოთა წესწყობილებამ მოგვცა.

რუსი და ქართველი კაცის ძმად შეფიცვა თავდაპირველად ბრძოლის ველზე მოხდა, მხოლოდ შემდეგ მიიღო მათმა ურთიერთობამ ფართო კულტურული კავშირის ხასიათი. დაუსრულებელია იმ სახელოვან ქართველ მეომართა გალერეა, რომელნიც რუსებთან ერთად მხარ-და-მხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს გალერეა იწყება პეტრე დიდის ბავშობის დროის მეგობრის და შემდეგ ფელდცეიხმეისტრის ალექსანდრე არჩილის-ძე ბატონიშვილით, გრძელდება შვიდი წლის ომის მონაწილით დავით გურამიშვილით, შენგრაბენისა და ბოროდინოს გმირით პეტრე ბაგრატიონით, გერგებილისა და სალთის გმირით გრიგოლ ორბელიანით, რუსეთ-თურქეთის ომების სახელოვანი მონაწილეებით — მუხრან ბატონებით, ორბელიანებით, ანდრონიკაშვილებით, ამილახვრებით და უსახელო გლეხი ჯარისკაცებით, რომელთა აღნუსხვა ღირსად არ უცნია სამეფო რუსეთის ოფიციალურ მატიანეს, და მთავრდება ჩვენი თანამედროვეებით, საბჭოთა საქართველოს გმირ მეომრებით, რომელთაც ძველ ქართველურ სამხედრო სიქველესთან ერთად მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება გამოამჟღავნეს.

რა ახასიათებს ამ მოქალაქეობრივ შეგნებას როგორც ფრონტზე, ისე ზურგში? ჩვენი თაობის უფროსი წარმომადგენლები რამდენიმე ომს მოვესწარით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ყველა ამ ომს, რომელსაც რუსეთისა და საქართველოს მონარქიული ან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მთავრობები აწარმოებდნენ, დაწყებისთანავე თან სდევდა აღვირახსნილი სპეკულაცია, დებოში, პროსტიტუციის გაძლიერება, ყოველივე ეს მხუთავ გაზებზე უფრო სწამლავდა ატმოსფერას. ამ ომებში ზურგი ხშირად უფრო ადრე იშლებოდა, ვიდრე ფრონტი.

დღევანდელ სამამულო ომში, პირიქით, როგორც ჩვენი მებრძოლი არმია, ისე ჩვენი სამოქალაქო მოსახლეობა ზნეობრივად სუფთა ატმოსფერას ისუნთქავს; როგორც ფრონტი, ისე ზურგი გასაოცარ დისციპლინას, ორგანიზებულებას, ღრმა სერიოზულობას იჩენს. თითქო მთელი ხალხი გრძნობს, რომ სასწორზე დადებულია არა მარტო ჰუმანიზმისა და დემოკრატიის იდეალები, არამედ კაცობრიობის კულტურის ღირებულებანი, რომელთა გარეშე აზრი ეკარგება ადამიანის არსებობას. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, რომელიც თავის პიროვნებაში საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას გამოჰხატავს, ერთნაირად ძლიერია, როგორც ფრონტის და სამოქალაქო მოსახლეობის იდეური შთამაგონებელი და ორგანიზატორი.

წინანდელ ისტორიულ ეპოქებში კაცობრიობის მოწინავე კულტურულ ქვეყნებს — ეგვიპტეს, საბერძნეთს, რომს, წინა აზიას — მომაკვდინებელი საფრთხე უდაბნოებიდან და ტყეებიდან გამოსული ბარბაროსების სახით ევლინებოდათ, გიქსოსები ერქვათ მათ, ეთიოპები, ტევტონები, გუთები, მონღოლები თუ სხვა რამ. თანამედროვე კულტურული კაცობრიობის, კერძოდ, ევროპის ტექნიკურმა განვითარებამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ისეთს მაღალს დონეს მიაღწია, რომ გარედან შემოჭრილი ბარბაროსები მისთვის საშიში აღარ არიან.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ კულტურის დამრღვევმა ძალებმა თვით დასავლეთი ევროპის საზოგადოების წიაღში იჩინეს თავი ფაშისტების სახით. მაგრამ რაც შესაძლებელი იყო რომის იმპერიის დეკადანსის ეპოქაში, რაც შესაძლებელი იყო ატილას, ჩინგის ყაენის, თემურლენგის და სხვების დროს, ის დღეს შეუძლებელია. დღეს ხანგრძლივად შეუძლებელია რასული გათიშვის და ეროვნული ძალმომრეობის პოლიტიკის წარმოება. რაგინდ მრავალრიცხოვანი, ორგანიზაციულად დარაზმული და ტექნიკურად შეიარაღებულიც იყოს ასეთი პოლიტიკის მაწარმოებელი ერი, ის დაუძლეველ წინააღმდეგობას წააწყდება და ბოლოს, აუცილებლად სასტიკად დამარცხდება, ვინაიდან დღეს, ერთის მხრით, განსაკუთრებით ძლიერია კულტუროსანი კაცობრიობის ინტერესთა მთლიანობის შეგნება, ხოლო, მეორეს მხრით, თვით უმცირეს ერებში გამძაფრებულია პატრიოტიზმი და თავმოყვარეობის გრძნობა. როცა მეცამეტე საუკუნეში რუსობამ და ქართველობამ თავიანთი მკერდის ძალით მონღოლთა ურდოების წინსვლა შეანელეს და თავიანთი სისხლის გაღებით დასავლეთი ევროპა იხსნეს მათი შესევისაგან, დასავლეთის ქრისტიანობას ეს დიდხანს არც ვაუგია და არც უგრძნია. დღეს კი ჩრდილოეთ-ამერიკელი ფერმერი და ინგლისელი ქარხნის მუშა ძალიან კარგად გრძნობენ, რომ რუსეთის ველებზე მისი ბედიც სწყდება. ამიტომ მარტო ის საბუთი, რომ გერმანელმა ფაშისტებმა, თავიანთი იდეოლოგების პირით, თავიანთი თავი ქერათმიან და ლურჯთვალებიან ზეკაცებად გამოაცხადეს, საკმაო არ არის იმისთვის, რომ სხვა ერებმა მათ კაცობრიობის მთავარსარდლის კვერთხი დაუთმონ, ხოლო თვითონ მიკრიკებისა და ჩექმის მწმენდელების როლით დაკმაყოფილდნენ.

დღეს საბჭოთა მოქალაქე, თავისი დიდი ხელმძღვანელის სტალინის მეთაურობით, იბრძვის ყველაზე უფრო უნივერსალური და პროგრესიული იდეალებისთვის, ვიდრე ოდესმე კაცობრიობას უბრძოლია. ეს ბრძოლა ღრმა დრამატიზმითაა აღსავსე და მასში ტრაგიკული მომენტებია მოსალოდნელი. მაგრამ რადგან ის ახალი სამყარო, რომელიც საბჭოთა კავშირის სახით ევროპის და აზიის კონტინენტების მიჯნაზე წარმოიშვა, ყველა წინანდელ საზოგადოებაზე უფრო ჯანსაღიცაა და უფრო ჰარმონიულიც, რადგან ის კაცობრიობას მომავლისკენ მიუთითებს და არა წარსულისკენ, შეიძლება მის წინსვლას ვინმე გადაეღობოს, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია.



„ვეთაურის თხრობა“ სურათი მხატ. ნიაურისა.

საბრძოლო გაფრენა*)

პ. სიმონოვი

ბრძანება მოკლე და მხედრულად ზუსტი იყო: იპოვნეთ და ჩასძირეთ ფაშისტთა მონიტორები, რომელნიც დიდი და განიერი მდინარის მისახვევ-მოსახვევებში იმალებიანო. მონიტორები მოულოდნელად გაჩნდნენ და თავიანთი ბატარეების ცეცხლით დიდ ზიანს აყენებდნენ უმთავრესად ჩვენს ქვეითა ჯარს.

დილა ადრიან, როცა გავარვარებული მზის ბურთმა ის იყო ამოჰყო თავი ზღვის დაუსრულებელი სივრცეების ჰორიზონტზე, კაპიტან წურწუმიას ნაწილის თვითმფრინავები მზად იყვნენ საბრძოლო გაფრენისათვის. თვით მეთაური ნაწილისა, შტურმანებისა და მფრინავების შუაში იდგა და უხსნიდა მათ გაფრენის მარშრუტს. დავალების ახსნა-განმარტების შემდეგ წურწუმიამ მოკლედ იკითხა:

— გასაგებია თუ არა დავალება?

— გასაგებია.

— არის თუ არა რაიმე შეკითხვა?

— არ არის.

და, გადაავლო რა უკანასკნელად გამოცდილი თვალი თავის შევარდნებს, წურწუმიამ ბრძანა:

— თვითმფრინავებზე!

თვითმფრინავების რგოლს მიუძღოდა ნაწილის უფროსი, ფაშისტ ყაჩაღებთან საჰაერო ბრძოლაში სახელგანთქმული კაპიტანი წურწუმია.

ადვილად იკვლევდნენ გზას ჰაერში ჩვენი ფოლადის ფრინველები და, მიუხედავად მტრის ხშირი საგუშაგოებისა, შეუმჩნევლად განვლეს მათ ფრონტის ხაზი. არსად გზაზე არ გამსკდარა მტრის საზენიტო ბატარეების ყუმბარა, არც მოდარაჯე „მესერშმიდტი“ გამოჩენილა სადმე.

— უკვე განვლეთ ფრონტის ხაზი!—მოახსენა ტელეფონით მეთაურს საფლაგმანო შტურმანმა.

— ჯერჯერობით ურიგოდ არ მიდის საქმე! — მიუგო მეთაურმა.

ძრავების ყოველ მოტრიალებაზე თვითმფრინავები უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ მტრის ტერიტორიაში. ისეთ სიმაღლეზე იყვნენ, რომ მიმალული მონიტორების მოძებნა ძნელი იყო, ამიტომ კაპიტანმა წურწუმიამ უბრძანა თვითმფრინავებს — დაშვებულიყვნენ ქვემოთ.

ოციოდე წუთს მიფრინავდნენ ისინი რძისფერ ბურუსში, შემდეგ ბურუსმა გაიწ-გამოიწია და დიდი ფანჯარა გაჩნდა.

კარგად გამოჩნდა მდინარის ნაპირები. პატარა ყურეებიც კი მოსჩანდა. ისინი მდინარეს პირალმა მისდევდნენ. შტურმანებისა და მსროლელ რადისტების თვალს არ ეპარებოდა უბრალო წვრილმანიც კი. დაინახეს, როგორ გაირბინა მარცხენა ნაპირზე ჯარისკაცთა ჯგუფმა. წელწახრილები გარბოდნენ და შეშინებულნი მაღალ ბალახებსა და ბუჩქებში წვებოდნენ.

— არ დაგივიწყებთ თქვენც! — სთქვა შტურმანმა და რუკაზე რაღაც აღნიშნა.

შტურმანი სავსებით სამართლიანად ფიქრობდა: სადაც ჯარისკაცთა ჯგუფია, იქ შეიძლება მთელი ნაწილიც იყოსო. მაგრამ ამჟამად მათთვის არ ეცალათ. ჯერჯერობით საჭირო იყო მთავარი დავალების შესრულება.

შორს, თითქმის ცის კიდურზე, მფრინავებმა პატარა წერტილი შენიშნეს. ერთი წუთის შემდეგ წერტილი გადიდდა და გარკვევით დაინახეს ის, რაც ნამდვილად იყო: განიერ მდინარეს აპობდა საბუქსირო კატარღა, რომელიც გრძელი ბაგირით მიათრევდა რუმინელების მძლავრ მცურავ ბატარეას და საომარი მასალით დატვირთულ რამდენიმე კარჭაპს. ბატარეა და კარჭაპები მალ-მალ იცვლიდნენ ადგილს, ხან ქვემოთ ეშვებოდნენ მდინარეზე, ხან პირალმა მიდიოდნენ. ამიტომ ძალიან ძნელი იყო არტილერიის ცეცხლის მოხვედრა და მათი დაზიანება. ქვეითა ნაწილებს მფრინავების დახმარების იმედი ჰქონდათ.

— ჩვენ ქვემოთ ბატარეაა! — მოახსენა მეთაურს შტურმანმა.

— ჩასძირეთ! — მოკლედ უბრძანა მეთაურმა.

— ადვილად ამოსაღებია მიზანში!— სთქვა ოხუნჯმა რადისტმა ანდრეევმა და ტყვიამფრქვევები მტრისკენ მიატრიალა.

ბატარეა შეეცადა სროლა აეტეხა ჩვენი თვითმფრინავებისთვის, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა: ჩვენების ტყვიამ ხმა ჩააწყვეტინა.

ქორებივით დააფრინდნენ ჩვენი ყუმბარმშენები მტრის შეიარაღებულ ქარავანს: ყუმბარები ზედ თავზე ეცემოდნენ, და მალე იმ ადგილას, სადაც ქარავანი იყო, ცეცხლისა და კვამლის სვეტები აღიმართა, ხოლო როცა ცეცხლი ჩაქრა და კვამლი გაიფანტა, წყალზე აღარაფერი აღარ მოსჩანდა— აღარც კარჭაპები და აღარც მცურავი ბატარეა. თვითმფრინავებმა ახლა ტვირთისაგან განთავისუფლებულ საბუქსირო კატარღას წამოუარეს, რომელიც დამფრთხალი წინ და უკან დარბოდა.

— ამ საათში რუმინელი მეზღვაურები თავიანთ წინაპრებს მიესალმებიან! — სთქვა შტურმანმა და თვითმფრინავი საიერიშოდ მოამზადა.

კატარღამ ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა ნაპირს მიაშურა, მაგრამ ყუმბარებს თავი ვერ დააღწია და დამსხვრეული თხელ ადგილზე გაირიყა.

წურწუმია იშვიათად თუ შეაქებდა თავის ხელქვეითებს, მაგრამ ეხლა ველარ მოითმინა და აღტაცებულმა დაიძახა ტელეფონის მილში:

— ყოჩაღ, შტურმანო, მაგრე უნდა მაგათ!

მაგრამ შტურმანს არ ეცალა პასუხის გასაცემად. იგი ახალ საქმისათვის ემზადებოდა და გულდასმით აქეთიქით იყურებოდა.

ერთი დავალების შესრულების შემდეგ თვითმფრინავებმა პირდაპირი ხაზით განაგრძეს გზა. სწორედ ამ დროს შენიშნეს მფრინავებმა, რომ თვითმფრინავების ირგვლივ უხვად სკდებოდნენ საზენიტო ბატარეების ყუმბარები. ჩვენებს ვერ გაეგოთ, სად იყო და საიდან ისროდა ბატარეა. თვითმფრინავები მდინარეს მისდევდნენ. მახლობლად არ შეიძლებოდა ბატარეა ყოფილიყო. ყუმბარები-კი ყოველი გასროლის შემდეგ უფრო ახლო სკდებოდნენ.

— უფრო და უფრო გვიღებენ მიზანში, შევცვალოთ კურსი! — სთქვა მეთაურმა და ოწინარი მკვეთრად მარჯვნივ შეატრიალა.

— ამ საზენიტო ცეცხლს, ალბათ, გემიდან გვიშენენ, — მიუგო შტურმანმა.

ამავე აზრისა იყო წურწუმია.

— მონახეთ, საიდან გვესვრიან! — უბრძანა მან.

თვითმფრინავები აქეთ-იქით გაიფანტნენ და შეუდგნენ ყველგან მიმალული ბატარეის ძებნას. უეცრად მარჯვნივ თვალი მოჰკრეს ხშირი ხეებით დაფარულ პატარა კუნძულს.

— აი სად ყოფილა კრაზანების ბუდე! — სთქვა წურწუმიამ და კუნძულისაკენ აიღო გეზი.

მალე შენიშნეს, რომ ნაპირის მახლობლად, იქ, სადაც მდინარე უხვევდა, იმალებოდა ხშირი მწვანე ტოტებით ოსტატურად დაფარული მტრის გემი. ხოლო მეორე გემი ნაპირთან იდგა, მდინარეზე გადმოხრილ დიდი მუხის ქვეშ.

— ამხანაგო მეთაურო, მონიტორები! — დაიძახა ტელეფონში მსროლელმა რადისტმა სემიონოვმა და თან ტყვიამფრქვევი შეატრიალა.

— ვხედავ! — მიუგო მეთაურმა და ბრძანება გასცა, იერიში მიეტანათ მონიტორებზე.

პირველმა ყუმბარები მონიტორებს მეთაურის თვითმფრინავმა დაუშინა. მას სხვებიც მიჰყვნენ, და მალე მოწმენდილი ცა შავი ბოლით შეიმჭვარტლა, ხოლო ჰაერის სიმყუდროვე თოფის წამლის აფეთქების გუგუნმა დაარღვია. აფეთქების ძალამ ჰაერში შეისროლა მონიტორების მახლობლად ნაპირთან მიმალული პატარა გემიც, რომელსაც ბაქანზე, ალბათ, ნაღმები ან ყუმბარები ჰქონდა შენახული ჩვენი წყალქვეშა ნავებისთვის. ორივე მონიტორი და ზღვის ყაჩაღი ფსკერისკენ დაეშვნენ.

უკან დაბრუნებისას, იმ ადგილას, სადაც შტურმანმა რუკა აღნიშნა, ქვეითი ჯარის მოტო-მექანიზებული ნაწილი აღმოჩნდა. რადისტ-მსროლელთა მარჯვე ცეცხლმა ქვეითი ჯარი მიფანტ-მოფანტა, ბევრი სიცოცხლესაც გამოასალმა, ხოლო მანქანები და საწვავით სავსე ცისტერნები ააფეთქა. ველს მოედო ცეცხლი—იწოდა ზღვა ბენზინი.

— ახლა შინ დავბრუნდეთ: საბრძოლო ბრძანება შესრულებულია! — უთხრა შტურმანს წურწუმიამ.

მაგრამ ვერ მოასწრეს თვითმფრინავებმა მობრუნება, რომ ღრუბლებიდან თავი გამოჰყო ოთხმა „მესერშმიდტმა“.

— ჰაერში მტრის გამანადგურებლები გამოჩნდნენ! — მოახსენა მეთაურს რადისტ-მსროლელმა სემიონოვმა.

— მოიგერიეთ მათი იერიში!—წყნარად უბრძანა წურწუმიამ.

ოთხივე ფაშისტური თვითმფრინავი წინ-მიმავალ მეთაურის მანქანას დაეტაკა. რადისტ-მსროლელმა ყველა ტყვიამფრქვევიდან დაუშინა ცეცხლი. ტყვიამფრქვევს მივარდა აგრეთვე შტურმანი. ფაშისტთა მანქანებს ტყვია დაუშინეს სხვა თვითმფრინავებმაც.

შეტაკება მეტად ცხარე და მწვავე იყო. ისმოდა ტყვიების განუწყვეტელი ზუზუნი და ტკაცანი. ორივე ფეხში დაიჭრა რადისტი-მსროლელი, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობდა სროლას. უეცრად ერთი „მესერშმიდტი“ მკვეთრად შეტრიალდა და ალმოდებული ზღვაში ჩავარდა. სამმა დანარჩენმა გამანადგურებელმა ძალა მოიკრიბა და უკანასკნელ თვითმფრინავს მიეჭრა.

— როგორა გრძნობ თავს?—ჰკითხა მეთაურმა დაჭრილ რადისტს.

— ჭრილობა შევიხვიე, — მიუგო რადისტმა. — ამჟამად ხელახლა ვტენავ ტყვიამფრქვევს.

— ჩვენი ნაპირი გამოჩნდა!—მოახსენა მეთაურს შტურმანმა.

წურწუმიამ შეანელა ძრავების ტრიალი და წინ გაუშვა უკანა თვითმფრინავი. სემიონოვმა მახლობელ „მესერშმიდტს“ დაუშინა ახლად გატენილი ტყვიამფრქვევები. ფაშისტი არამზადა ჯერ კუდისკენ გადაექანა, შემდეგ წინისკენ გადაიხარა, ბოლოს ზღვაში ჩაეშვა ალმოდებული.

— წავიდა თავისი ტევტონური ღმერთის თაყვანსაცემად! — სთქვა შტურმანმა და ღვედი იდაყვზემოთ მარცხენა მკლავზე გადაიჭირა—ტყვიამ ბეჭი გაუხვრიტა.

ამ დროს უეცრად იფეთქა უკან მიმავალი ყუმბარმშენის მარცხენა ძრავმა. დანარჩენი თვითმფრინავები იძულებული გახდნენ გარსშემოხვეოდნენ და დაეცვათ იგი მტრის გამანადგურებელთა იერიშისაგან. ერთ „მესერშმიდტს“ მალე სიღრმის საჭე დაუმსხვრიეს, იგი სიმაღლეს ველარ იცავდა და ჩვენს ტერიტორიაზე დასაშვებად გაემართა. მეორემ მკვეთრად იბრუნა პირი და სწრაფად მოძუძგა.

დაზიანებული ყუმბარმშენი ოდნავ ჩამორჩა ჩვენებს.

— ვერ მიაღწევს შინამდე!—სთქვა მეთაურმა და თავისი მანქანა გვერდში ამოუყენა ლეიტენანტ ორეხოვის დაზიანებულ ყუმბარმშენს.

ალმოდებული ყუმბარმშენი ძლივს ახერხებდა სვლას უღრუბლო ცაში. მას მებრძოლი ამხანაგები იცავდნენ. ასე აცილებენ ბრძოლის ველიდან სასიკვდილოდ დაჭრილ მთის არწივს თავისი თანამებრძოლები.

ცეცხლი ყუმბარმშენის სიბრტყეს მოედო. ქარი თავისუფლად ათამაშებდა ალის გრძელ ულვაშებს. უკვე გამოჩნდა ზღვის ცისფერი უბე, უკვე შორს აღარ იყო მშობლიური ბაზა, საიდანაც არა ერთხელ აფრენილან ჩვენი მამაცი შევარდნები. მაგრამ დაჭრილ არწივს ძალზე გაუჭირდა ფრენა. სწორედ ამ დროს გადმოეშვნენ ალმოდებულ თვითმფრინავიდან მებრძოლნი. ჰაერში დინჯად გაიშალა სამი თეთრი გუმბათი.

— ყველანი ცოცხლები არიან! — წამოიძახა სიხარულით წურწუმიამ.

თვითმფრინავები უკვე ეშვებოდნენ აეროდრომზე, როდესაც სამი პარაშუტისტის შესახვედრად მანქანა გაეშურა.

მალე ლეიტენანტი ორეხოვი კაპიტან წურწუმიას წინ იდგა და აცნობებდა, თუ როგორ დაზიანდა ფაშისტ ქორფაკებთან ბრძოლაში მისი თვითმფრინავი.

— ცოტაღა დაგვაკლდა აეროდრომამდე მოსვლას, — წარმოსთქვა გულნატკენად ორეხოვმა. — ცეცხლი ისე მოედო, რომ უკვე სახეებს გვიწვავდა, კომბინიზონებზე გადადიოდა.

— არაფერია, ამხანაგო ორეხოვ,— მიუგო მეთაურმა: — თქვენი ეკიპაჟი ჯანმრთელად და კარგად არის, ფაშისტებმა კი რამდენიმე გამანადგურებელი და სამი მფრინავი დაჰკარგეს. ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით.

ლეიტენანტმა მეთაურს შეხედა, შეტრუსული ხელთათმანები გაიძრო და სთქვა:

—ამხანაგო მეთაურო! სწორედ იმიტომ არიან ისინი ფაშისტები, რომ თავდაყირა დაეშვნენ ქვემოთ. ჩვენ კი დავალება უნდა შევასრულოთ.

კაპიტანი წურწუმია იდგა, ღიმილით შეჰყურებდა თავისი ნაწილის მებრძოლს, ახალგაზრდა ლეიტენანტს, და გულზე სიხარული ეფინებოდა, რომ იგი უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა თავისი ცეცხლმოდებული თვითმფრინავის გადარჩენას.

„აი ისინი, ჩვენი გმირები, სამი მამაცი ახალგაზრდა!“—გაიფიქრა გულში და ხმამაღლა სთქვა:

— შევასრულებთ, ჩემო ძვირფასო! ჩინებულად შევასრულებთ ხალხის დავალებას!

მომქმედი ფლოტი.

---

*) უფროს ლეიტენანტის სამხედრო მფრინავ პ. სიმონოვის ეს ნარკვევი დაწერილია ჩვენი გაზეთისათვის. **რედ.**

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 42314